UNCLASSIFIED

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA

ურთიერთობის ახალი ეტაპი - მეფეები პარტნიორობა - მდგრადი მეფობები

ქვეყნის განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია

2020 წლის 26 მაისი - 2025 წლის 26 მაისი

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

სარჩევი

აბრევიატურა **3**

I. რეზიუმე **5**

II. კონტექსტი **11**

ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და საქართველოს თვითუზრუნველყოფის გზამკვლევი **11**

სტრატეგია და ქვეყნის პრიორიტეტები **15**

მავნე ზეგავლენა **16**

III. სტრატეგიული მიდგომა **18**

USAID-ის საქართველოსთან პარტნიორობის ახალი ეტაპი **18**

პარტნიორობის ფორმები და სხვა ორგანიზაციები **22**

სტრატეგიული ინდიკატორები **25**

IV. შედეგების ჩარჩო **26**

სტრატეგიის მიზანი და აღწერილობა **26**

DO 1: მავნე ზეგავლენისადმი გაზრდილი მედეგობა **27**

DO 2: მოქალაქისადმი ანგარიშვალდებული მმართველობის გაძლიერება დემოკრატიული მიღწევების განსამტკიცებლად **38**

DO 3: ეკონომიკური ზრდის შედეგად შექმნილი ინკლუზიური, მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობები **49**

V. მონიტორინგი, შეფასება და მიღებული გამოცდილება **59**

VI. დანართი 1-ლი: ქვეყნის თვითუზრუნველყოფის გზამკვლევი **62**

VII. დანართი მე-2: გამოყენებული ტერმინოლოგია **64**

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

აბრევიატურა

ADS	Automatic Directives System	დირექტივების ავტომატური სისტემა
BPRM	Bureau of Population, Refugees, and Migration of the U.S. Department of State	აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიურო
CDCS	Country Development Cooperation Strategy	ქვეყნის განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია
CLA	Collaborating, Learning, and Adapting	კოლაბორაცია, სწავლება და ადაპტაცია
CMKI	Countering Malign Kremlin Influence	კრემლის მავნე ზეგავლენასთან ბრძოლის სტრატეგია
COVID-19	Coronavirus Disease 2019	კორონავირუსის პანდემია 2019
CRRC	Caucasus Research Resource Centers	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Agreement	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
DFC	Development Finance Corporation	საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია
DO	Development Objective	განვითარების მიზანი
DOAG	Development Objective Assistance Agreement	ხელშეკრულება განვითარების მიზნის შესახებ
DOJ/OPDAT	U.S. Department of Justice/ Office of Overseas Prosecutorial Development Assistance and Training	აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთ საპროკურორო განვითარების, დახმარებისა და სწავლების პროექტი
DRM	Domestic Revenue Mobilization	ადგილობრივი შემოსავლების მობილიზება
FCNM	Framework Convention for the Protection of National Minorities	ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენცია
FSR	Financing for Self-Reliance	დაფინანსება თვითუზრუნველყოფის მისაღწევად
GDA	Global Development Alliance	გლობალური განვითარების ალიანსი
GDP	Gross Domestic Product	მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
GIS	Geographic Information System	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
G2G	Government to Government	მთავრობათაშორისი
IR	Intermediate Result	შუალედური შედეგები

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

IRI	International Republican Institute	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
J2SR	Journey to Self-Reliance	ქვეყნის გზა თვითუზრუნველყოფისკენ
LGBTI	Lesbian, Gay, Bisexual, Transgender, and Intersex	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრასნგენდერი და ინტერსექსი
LMIC	Low- and Middle-Income Country	დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანა
MSME	Micro, Small, and Medium Enterprise	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო
MOU	Memorandum of Understanding	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
NDI	National Democratic Institute	ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი
NED	National Endowment for Democracy	დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდთანაც
NPI	New Partnership Initiative	ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობის ინიციატივა
PPP	Public-Private Partnership	კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობა
PSE	Private Sector Engagement	კერძო სექტორის ჩართულობა
P2P	People-to-People	ხალხთაშორისი
RDR	Redefining the Relationship	პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებური მიდგომა
SIDA	Swedish International Development Agency	შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო
USAID	United States Agency for International Development	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
UNDP	United Nations Development Programme	გაეროს განვითარების პროგრამა
UNHCR	United Nations High Commissioner for Refugees	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
UN Women	United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women	გაეროს გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების წარმომადგენლობა
WEF	World Economic Forum	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის
W-GDP	Women's Global Development and Prosperity Initiative	ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის ინიციატივა

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

I. რეზიუმე

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) 2020-2025 წლების განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია (CDCS) მიზნად ისახავს საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის გზით, მისი თვითუზრუნველყოფისა (self-reliance)[1] და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას და ქვეყანაზე მავნე ზეგავლენის შემცირებას. სტრატეგია საქართველოს დაეხმარება წარმატებით განვლოს თვითუზრუნ-ველყოფისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალი გზა. ახალი სტრატეგიის განხორციელების პროცესში USAID საქართველოსთან ურთიერთობის თვისებრივ, სტრა-ტეგიულ ტრანსფორმაციას მოახდენს. ეს გულისხმობს ურთიერთობის განვითარებას ქვეყანასთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან და არა როგორც საერთაშორისო დახმარების მიმღებთან. ამგვარი ურთიერთობა ისეთი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას შეუწყობს ხელს, როგორებიცაა: საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია, ქვეყნის თვითუზრუნ-ველყოფა, მავნე ზეგავლენის შემცირება და სტრატეგიული რეფორმების გატარება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ განვითარების შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ არაერთ სფეროში სამაგალითო, ეკონომიკისა და მმართველი ინსტი-ტუტების გაძლიერებაზე ორიენტირებული რეფორმები წარმატებით განახორციელა. მიღებული გამოცდილება კი, საქართველოს სტრატეგიული მიზნების მიღწევაში შეუწყობს ხელს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიღწეულ წარმატებას ჯერ კიდევ საფრთხეს უქმნის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: საქართველოს არასტაბილური გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ჯერ კიდევ არამყარი დემოკრატიული ინსტიტუტები და დემოკრატიული რეფორმების განხორ-ციელების არასტაბილური ტემპი. ამიტომ, ქვეყნის მომდევნო ხუთი წლის მანძილზე განვითარების პერსპექტივა ზემოაღნიშნული გამოწვევების კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია საქართველოს თვითუზრუნველყოფის 2020 ფისკალური წლის გზამკვლევში (J2SR Country Roadmap) ასახულ მიღწევებს ეფუძნება. გზამკვლევში თვითუზრუნველყოფის კონცეფცია ორ ძირითად კატეგორიას ემყარება. ესენია ,,ქვეყნის შესაძლებლობები“ (country capacity) და ,,ქვეყნის ვალდებულებები“ (country commitment).[2] საქართველოს ორივე კატეგორიაში საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. მაგალითად, ,,ეკონომიკური პოლიტიკა“ გზამკვლევის ერთ-ერთი ქვე-კატეგორიაა, რომელიც რამდენიმე ინდიკატორისგან შედგება. ,, ვაჭრობის თავისუფლების“ ინდიკატორის მიხედვით, საქართველოს 0.89 ქულა მიენიჭა. ,,სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების“ ქვე-კატეგორიაში კი, ,,სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ეფექტურობის“ ინდიკატორის მიხედვით, ქვეყანამ კიდევ უფრო მაღალი შეფასება - 0.93 დაიმსახურა. საქართველოს რეიტინგი ,,მოქალაქეთა შესაძლებლობების“ ქვე-კატეგორიაში სხვა დაბალი და საშუალო

[1] USAID თვითუზრუნველყოფას (self-reliance) განმარტავს, როგორც სახელმწიფოს (მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის ჩათვლით) უნარს დამოუკიდებლად დაგეგმოს, დააფინანსოს და განახორციელოს ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო გადაწყვეტილებები.
[2] USAID ,,ქვეყნის შესაძლებლობებს“ (country capacity) განიხილავს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით სხვადასხვა სექტორებში, ხოლო ,,ქვეყნის ვალდებულებებს“ (country commitment) განმარტავს, როგორც ქვეყანაში არსებული კანონების, პოლიტიკის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების და ქმედებების, მართვის კულტურისა და ნორმების ერთობლიობას.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

შემოსავლის მქონე ქვეყნების (LMIC) გასაშუალოებულ შედეგებს აღემატება. ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შემუშავებული USAID-ის სტრატეგია დაეხმარება საქართველოს აღმოფხვრას ხარვეზები, რომლებიც შემდეგ ქვე-კატეგორიებში გამოვლინდა: ,,მთავრობის შესაძლებლობები", ,,ინკლუზიური განვითარება" და ,,ღია და ანგარიშვალდებული მმართველობა".

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესგარემოს რეფორმების კუთხით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს, ეკონომიკურ ზრდას დასაქმებისა და შემოსავლების დონეთა ფართომასშტაბიანი მატება არ მოჰყოლია. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველო უკეთეს მაჩვენებლებს ინარჩუნებს ,,ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის (GDP)" და ,,სიღარიბის დონის" ქვე-კატეგორიებში, თუმცა ეკონომიკური ზრდა არათანაბარია და თანმდევი სასიკეთო ცვლილებები ნაკლებად ეხება იმ რეგიონების მოსახლეობას, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს საარსებო სოფლის მეურნეობა (subsistence agriculture) წარმოადგენს. ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად საქართველომ უნდა შეინარჩუნოს მიღწეული პროგრესი, განახორციელოს სტრატეგიული რეფორმები, თავიდან აიცილოს დემოკრატიული განვითარების შესაძლო რეგრესი და ანაგარიში გაუწიოს იმ გეოპოლიტიკურ გარემოს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას განაპირობებს.

ქვეყნის შიგნით საქართველოს დემოკრატიას საფრთხეს უქმნის ე.წ. ,,ნულოვანი ნაშთის პოლიტიკა" (როდესაც ერთი მხარე იგებს ზუსტად იმდენს, რამდენსაც აგებს მეორე ან პირიქით), წამყვან სექტორებში გაბატონებული არაფორმალური მმართველობა და უთანასწოროდ გადანაწილებული შემოსავლების მაღალი ნიშნული. ქვეყნის გარეთ საქართველო კვლავ განიცდის არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემოს ზემოქმედებას. თავდაცვის მიზნით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ და კრემლის მავნე ზეგავლენის წნეხის ქვეშ მყოფ ქვეყანას ამერიკის შეერთებული შტატების უწყვეტი მხარდაჭერა ჯერ კიდევ სჭირდება. ამასთანავე, ქვეყანა ჩინეთის ეკონომიკური გავლენის გაფართოების წინაშეც დაუცველია.

ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით, საქართველომ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბოლო სამი წლის განმავლობაში, თუმცა უმცირესობათა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მართალია, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საუბარია უმცირესობების დაცვის მხრივ არსებულ მიღწევებზე, მაგრამ იქვეა ნახსენები უმცირესობების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში არსებული ისეთი გამოწვევებიც, როგორებიცაა განათლების ხელმისაწვდომობა, კულტურული მემკვიდრეობისა და თვითიდენტურობის დაცვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში ხაზს უსვამს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმატებულ საქმიანობას რელიგიური

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

სიძულვილის მოტივაციით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, იგი იქვე მიუთითებს რელიგიური თავისუფლების დაცვის სფეროში არსებულ სტაგნაციაზე. კონკრეტულად კი, ყურადღება გამახვილებულია სტრუქტურული ხასიათის დისკრიმინაციაზე, რომელიც ქმნის დაბრკოლებებს როგორც დაფინანსების მოპოვების, ასევე სალოცავი ადგილების ხელმისაწვდომობის კუთხით. ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით, უმუშევრობის დონე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის არაპროპორციულად მაღალია. იმ რეგიონებში, სადაც უმცირესობები მოსახლეობის უმრავ-ლესობას წარმოადგენენ, გამოკითხულთა 75% აცხადებს, რომ უმუშევარია. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობები ანტიდასავლური პროპაგანდის გავლენის ქვეშ შედარებით იოლად ექცევიან და, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებასაც ეჭვის თვალით უცქერენ. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2019 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ უმცირესობათა დასახლებებში გამოკითხულთა მხოლოდ 57% უჭერს მხარს მთავრობის მიერ გაცხადებულ მიზანს - ევროკავშირში გაწევრიანებას, მაშინ როცა ქვეყნის მასშტაბით ეს მაჩვენებლი 78%-ია.

განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიის მიხედვით, USAID-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქართველოს თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული, ეფექტური, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული პროცესები მაქსიმალურად დააჩქაროს. 2020 ფისკალური წლის ქვეყნის გზამკვლევის განხილვისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში დაისვა კრიტიკული მნიშვნელობის მქონე კითხვა: როგორ უნდა გამოიყენოს USAID-მა ქვეყნის მიღწევები ზემოაღნიშნული შესაძლებლობებისა და ვალდებულებების სფეროებში ისე, რომ ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადაყვანა შეძლოს? მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში USAID-ის ურთიერთობა საქართველოსთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან, ახალ საფეხურზე გადაინაცვლებს, რაც მისი მთავრობის, ინსტიტუტებისა და მოქალაქეების პოტენციალის განვითარებასა და ათვისებას გულის-ხმობს. სხვადასხვა სექტორში არსებული შესაძლებლობებიდან და ვალდებულებებიდან გამომდინარე, USAID-მა შეიმუშავა პარტნიორული ურთიერთობის ფორმირების სამ საფეხურიანი სისტემა. მისი გამოყენებით, ადგილობრივი ინსტიტუტები შეძლებენ მეტი პასუხისმგებლობის აღებას, მისია კი - გაწეულ ინვესტიციათა მდგრადობის უზრუნველ-ყოფას. ამგვარად, USAID-ის საქმიანობა დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს თვით-უზრუნველყოფისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ წინსვლის და ქვეყანაზე მავნე ზეგავლენის შემცირების საქმეში.

წინამდებარე სტრატეგიაში ასახულია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის, სახელმწიფო დეპარტამენტის და USAID-ის ერთობლივი სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტები. სტრატეგიის მიზანი და შედეგების ჩარჩო (Results Framework) სააგენტოს იმ ამოცანებს ეხმიანება, რომლებიც უკავშირდება კრემლის მავნე ზეგავლენასთან (CMKI) ბრძოლას, პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებურ მიდგომას (RDR) და კერძო

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

სექტორის ჩართულობას (PSE). ეს პრიორიტეტები თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის გრძელვადიან მიზანთან - ევროკავშირში გაწევრიანებასთან. განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია სამ ძირითად მიზანს მოიცავს:

DO 1: მავნე ზეგავლენისადმი გაზრდილი მედეგობა. განვითარების ეს მიზანი, USAID-ისთვისაც შედარებით ახალი ორიენტირი, შესაძლებლობას აძლევს მისიას საქართველოს მთავრობასთან პარტნიორული ურთიერთობა თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანოს და სპეციალურად შემუშავებული პროგრამებით დაეხმაროს ქვეყანას წარმატებით გაუმკლავდეს ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს თვითუზრუნველყოფისკენ მიმავალ გზაზე - გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენას.

DO 2: მოქალაქისადმი ანგარიშვალდებული მმართველობის გაძლიერება დემოკრატიული მიღწევების განსამტკიცებლად. მმართველობის სფეროში რეგრესის თავიდან აცილების მიზნით, USAID აქცენტს ფართო ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმებიდან (რომლებმაც ცენტრალური მთავრობის ეფექტურობის გაზრდის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს) მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული მმართველობის იმ ფორმის მხარდაჭერაზე გადაიტანს, რომელიც მოქალაქეების წინაშე სამთავრობო სტრუქტურების ანგარიშვალდებულებას ყველა დონეზე უზრუნველყოფს.

DO 3: ეკონომიკური ზრდის შედეგად შექმნილი ინკლუზიური, მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობები. USAID საბაზისო ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების მიზნით განხორციელებულ პროგრამებს (რომლებმაც საქართველოში საბაზრო, დასავლეთზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი) ბიზნესის სტიმულირებაზე გათვლილი აქტივობებით ჩაანაცვლებს, რომელთა მიზანია მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ხელშემწყობი ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად.

სტრატეგიის განხორციელების შედეგად, USAID-ის მიერ გაწეული საქმიანობა მყარ საფუძველს ჩაუყრის საქართველოს მისწრაფებას ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ, დაიცავს ქვეყანას გარე საფრთხეებისგან (მათ შორის, გარეშე ძალთა მიერ თავსმოხვეული მავნე ზეგავლენისგან) და ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეებს ისარგებლონ გაუმჯობესებული მმართველობით, კანონის უზენაესობითა და დასაქმების შესაძლებლობებით.

პარტნიორული ურთიერთობის ფორმირების სამ საფეხურიან სისტემაზე დაყრდნობით, USAID მოახდენს საქართველოსთან ურთიერთობების თვისებრივ ტრანსფორმაციას იმ სფეროებში, რომლებშიც საქართველომ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას (იგულისხმება საქართველოს რეიტინგი თვითუზრუნველყოფის ზემოაღნიშნულ გზამკვლევში), სადაც დაწყებული რეფორმების დასასრულებლად გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი (მაგ. სოფლის მეურნეობის ზოგიერთ ქვე-სექტორში) და სადაც

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ქვეყანას უაღრესად რთულ გამოწვევებთან გამკლავება უწევს (მაგ. არაფორმალური მმართველობა). მისია, ერთი მხრივ, გააფართოებს პარტნიორთა რიცხვს და, მეორე მხრივ, შეიმუშავებს პარტნიორული ურთიერთობის ახალ მოდელებს, რომლებშიც ადგილობრივ ორგანიზაციებს წამყვანი როლი დაეკისრებათ, რაც, ამავდროულად, USAID-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მდგრადობას უზრუნველყოფს. ეს კი, პარტნიორული ურთიერთობების, მექანიზმებისა და ფორმების სპექტრის გაფართოებას გულისხმობს. ამგვარ მექანიზმებსა და ფორმებში მოიაზრება, მაგალითად, პროექტების ერთობლივი დიზაინი, თანადაფინანსება და თანაინვესტირება, გლობალური განვითარების ალიანსი (GDA), კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობა (PPP), ხელშეკრულება განვითარების მიზნის შესახებ (DOAG) და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (MOU) მთავრობის ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, გაფართოებული მთავრობათაშორისი (G2G) მექანიზმები და კერძო სექტორის ჩართულობა (PSE). საქართველო ე.წ. ,,ფრონტისპირა სახელმწიფოა", სადაც აშშ-ს საგარეო დახმარება, რომელსაც USAID გაუწევს ადმინისტრირებას, ერთგვარი კატალიზატორის ფუნქციას შეასრულებს რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების პასუხად და შესაძლო რეგრესის თავიდან ასაცილებლად, მისია ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ანგარიშ-ვალდებულებისა და მედეგობის ზრდასთან დაკავშირებული პრიორიტეტული თემები სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპის განუყოფელი ნაწილი გახდეს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, მსოფლიოს კორონავირუსის (COVID-19) პანდემია დაატყდა თავს. საქართველო დღემდე იმ მცირერიცხოვან ქვეყანათა შორის რჩება, რომლებმაც შეძლეს ვირუსის ფართო მასშტაბით გავრცელებისა და სიკვდილიანობის მაღალი დონის თავიდან აცილება. მიუხედავად ამისა, პანდემია ქვეყნის ეკონომიკას და მოსახლეობას დიდ ზიანს აყენებს. ვირუსთან ბრძოლა გრძელდება, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომები და გადაწყვეტილებები უკვე შეაფასა, როგორც გამჭირვალე, კომპეტენტური და სანდო მონაცემებით ნაკარნახევი. ყოველივე ეს კი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე საჯარო მმართველობის განვითარების მიზნით გაღებულ ინვესტიციებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ამავე დროს, ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ როგორ ცდილობენ მავნე პრორუსული ძალები კრიზისის გამოყენებას საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების გაღრმავებისა და ქვეყნის დასავლეთისკენ სვლის შეფერხების მიზნით. კორონავირუსით გამოწვეულმა კრიზისმა კიდევ უფრო ნათელი გახადა ის გარემოება, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენისადმი მედეგობის გაზრდა, მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობის გაძლიერება (რაც საქართველოს ყველა მოქალაქეს გაუჩენს იმის განცდას, რომ ის ამ ქვეყნის განვითარებაზეა პასუხისმგებელი) და ისეთი ეკონომიკის შექმნა, რომელიც რეალურ შედეგს ქვეყნის ყველა რეგიონის მოსახლეობას მოუტანს.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ცხრილი 1-ლი: USAID/საქართველოს 2020-2025 წლების განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიის შედეგების ჩარჩო

სტრატეგიის მიზანი: USAID სტრატეგიულ პარტნიორობას გაუწევს საქართველოს თვითუზრუნველყოფის, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და მავნე ზეგავლენისადმი მედეგობის მისაღწევად

DO 1: მავნე ზეგავლენისადმი გაზრდილი მედეგობა

IR 1.1ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა

1.1.1 სამიზნე მოსახლეობასა და დანარჩენ საქართველოს შორის გაზრდილი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები
1.1.2: ხალხთაშორისი ურთიერთობებისთვის გაზრდილი შესაძლებლობების შექმნა

IR 1.2: ქვეყნის ეკონომიკაზე მავნე ზეგავლენის შემცირება

1.2.1: გაზრდილი ენერგოუსაფრთხოება
1.2.2: საკვანძო ეკონომიკური სექტორების დივერსიფიკაცია

IR 1.3: ინფრასტრუქტურის დაუცველი სექტორების კიბერუსაფრთხოების გამყარება

1.3.1: ენერგეტიკის სექტორის კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება
1.3.2: სამიზნე დემოკრატიული ინსტიტუტების კიბერუსაფრთხეობის გაზრდა

IR 1.4: მიზანმიმართული დეზინფორმაციის ზეგავლენის შემცირება

1.4.1: ევრო-ატლანტიკური მიზნების ხელშემწყობი საკომუნიკაციო საქმიანობის გაუმჯობესება
1.4.2: დეზინფორმაციის იდენტიფიკაციისა და საპასუხო საკომუნიკაციო უნარების გაუმჯობესება

DO 2: მოქალაქისადმი ანგარიშვალდებული მმართველობის გაძლიერება დემოკრატიული მიღწევების განსამტკიცებლად

IR 2.1: მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურება

2.1.1: პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო პროცესების საზოგადოებისადმი გაზრდილი პასუხისმგებლობა
2.1.2: სამოქალაქო აქტივიზმისა და ზედამხედველობის მექანიზმების გაზრდა
2.1.3: სამოქალაქო განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

IR 2.2: მმართველი ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა

2.2.1: საჯარო მმართველობის ეფექტურობისა და ზედამხედველობის მექანიზმების გაუმჯობესება
2.2.2: მუნიციპალური მმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება
2.2.3: მიზნობრივ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდა

IR 2.3: კანონის უზენაესობის გაძლიერება

2.3.1: მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება
2.3.2: მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის გაუმჯობესება
2.3.3: გაზრდილი სამოქალაქო და ინსტიტუციური ზედამხედველობა

DO 3: ეკონომიკური ზრდის შედეგად შექმნილი ინკლუზიური, მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობები

IR 3.1: ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება

3.1.1: წამყვან ეკონომიკურ სექტორებში აუცილებელი რეფორმების შემუშავება და გატარება
3.1.2: ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

IR 3.2 წამყვან სექტორებში გაზრდილი კონკურენტუნარიანობა

3.2.1: დივერსიფიცირებულ, მაღალი ღირებულებისა და მაღალშემოსავლიან ბაზრებზე გაზრდილი წვდომა
3.2.3: საინვესტიციო რესურსებზე გაზრდილი წვდომა
3.2.3: ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და მათზე წვდომის გაუმჯობესება
3.2.4: კერძო სექტორის საჭიროებებზე მორგებული ადამიანური რესურსების გაძლიერება

II. კონტექსტი

ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და საქართველოს თვითუზრუნველყოფის გზამკვლევი

1991 წელს დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე საქართველომ მნიშვნელოვანი და წარმატებებით აღსავსე გზა განვლო. მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, დაწყებული ენერგოკრიზისით, დამთავრებული პოლიტიკური არეულობითა და სამხედრო ოკუპაციით, საქართველო რეგიონში სამაგალითო ქვეყანას წარმოადგენს. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე წლიურად საშუალოდ 4.3%-ით გაიზარდა, ქვეყანაში სიღარიბის დონე (დღეში $5) 16%-ით შემცირდა, ხოლო ,,ვაჭრობის თავისუფლების" ინდიკატორის მიხედვით (0.89 ქულა)[3], საქართველომ მსოფ-ლიოში მოწინავე სახელმწიფოთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის იმ მიღწევებს ასახავს, რომლებსაც ქვეყნის განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია განიხილავს, როგორც საქართველოს შემდგომი წინსვლის-თვის აუცილებელ, უმნიშვნელოვანეს ბერკეტს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მართლმსაჯულებისა და საარჩევნო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა სრულფასოვანი საპარლამენტო სისტემის ჩამოყალიბება. თუმცა საქართველო ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ქართულ დემოკრატიას საფრთხეს უქმნის ე.წ. ,,ნულოვანი ნაშთის პოლიტიკა" (როდესაც ერთი მხარე იგებს ზუსტად იმდენს, რამდენსაც აგებს მეორე ან პირიქით), წამყვან სექტორებში გაბატონებული არაფორმალური მმართველობა და უთანასწოროდ გადანაწილებული შემოსავლების მაღალი ნიშნული. მომავალში საქართველო შესაძლოა დადგეს დემოკრატიიული განვითარების რეგრესის საფრთხის წინაშე იმის გათვალისწინებით, რომ, მზარდი პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე, მატულობს საზოგადოების იმედგაცრუება არაფორმალურ მმართველობასა და რეალური მატერიალური სარგებლის ნაკლებობასთან დაკავშირებით.

USAID-ის მისიის სტრატეგიული ხედვა საქართველოს თვითუზრუნველყოფის 2020 ფისკალური წლის გზამკვლევში (J2SR Country Roadmap) ასახულ მაჩვენებლებს ეფუძნება. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია იმდაგვარადაა შედგენილი, რომ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს საქართველოს გააუმჯობესოს რეიტინგი ისეთ ქვე-კატეგორიებში, როგორებიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა", ,,მოქალაქეთა შესაძლებ-ლობები" და ,,სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები", მეორე მხრივ კი, დაეხმაროს ქვეყანას გადაჭრას მის წინაშე არსებული გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ,,მთავრობის შესაძლებლობების", ,,ინკლუზიური განვითარებისა" და „ანგარიშვალდებული მმართველ-ობის" ქვე-კატეგორიებში ნაჩვენებ შედეგებს. ითვალისწინებს რა ზემოხსენებულ მიღწევებს, USAID-ის სტრატეგია ხელს შეუწყობს საქართველოს წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, თავიდან აიცილოს დემოკრატიული განვითარების შესაძლო რეგრესი

[3] ,,ვაჭრობის თავისუფლება" ქვეყნის თვითუზრუნველყოფის გზამკვლევის ქვე-კატეგორიის - ,,ეკონომიკური პოლიტიკის" - ერთ-ერთი ინდიკატორია.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

და გაითვალისწინოს ის გეოპოლიტიკური გარემოც, რომელიც ქვეყნის წარმატებულ განვითარებასა და მის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნის.

,,ეკონომიკური პოლიტიკა“ გზამკვლევის ერთ-ერთი ქვე-კატეგორიაა, სადაც „ვაჭრობის თავისუფლების“ ინდიკატორის მიხედვით საქართველოს მიენიჭა 0.89 ქულა. ,,სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების“ ქვე-კატეგორიაში კი, ,,სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ეფექტურობის“ ინდიკატორის მიხედვით, ქვეყანამ კიდევ უფრო მაღალი შეფასება - 0.93 ქულა დაიმსახურა. ზოგადად, ქვეყნის რეიტინგი ,,მოქალაქეთა შესაძლებლობების“ ქვე-კატეგორიაში აღემატება სხვა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მიერ ნაჩვენებ საშუალო შედეგებს. მთავრობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მისია ხელს შეუწყობს კანონშემოქმედებით საქმიანობას საჯარო სამსახურის სექტორში.

USAID-ისთვის ასევე აქტუალური თემაა ,,ინკლუზიური განვითარების“ ქვე-კატეგორიაც, რომელიც გულისხმობს საქართველოს ისეთ განვითარებულ ქვეყანად ჩამოყალიბებას, სადაც ადამიანის დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილი მის მომავალს არ განსაზღვრავს. თვითუზრუნველყოფის მისაღწევად მნიშვნელოვანია ,,სოციალური ჯგუფის თანასწორობის ინდიკატორიც“, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში პოლიტიკური თანასწორობის დონე იზომება. ,,სოციალური ჯგუფის თანასწორობის“ რეიტინგი, რომელიც ქვეყანაში სხვადასხვა სოციალური (ეთნიკური, რელიგიური, რეგიონული და სხვა) ჯგუფების სამოქალაქო თავისუფლებების დაცულობის დონეს აფასებს, წლების განმავლობაში არ შეცვლილა. აღნიშნული რეიტინგი 2017 წელს ოდნავ დაეცა, თუმცა გასულ წელს კვლავ გაუმჯობესდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველო პატარა, მაგრამ ძალზედ მრავალფეროვანი ქვეყანაა, სადაც მთავრობის საქმიანობაში მოქალაქეთა აქტიური ჩართვა არც ისე მარტივია. სამწუხაროდ, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები კვლავ რჩებიან ქართული საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მიღმა, ხოლო განსხვავება ურბანულ ცენტრებსა და რეგიონებს შორის სულ უფრო მეტად თვალშისაცემია.

გზამკვლევში ,,მოქალაქეთა შესაძლებლობების“ ქვე-კატეგორია სამ ინდიკატორს მოიცავს. ესენია: ,,განათლების ხარისხი“, ,,სიღარიბის დონე“ და ,,ბავშვთა ჯანდაცვა“. ამ უკანასკნელის მიხედვით საქართველოს ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს (0.90). დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველო უკეთეს მაჩვენებლებს ინარჩუნებს ,,ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის“ ინდიკატორის მიხედვით, თუმცა ეკონომიკური ზრდა არათანაბარია, უმუშევრობის დონე კი - მაღალი. თანმდევი სასიკეთო ცვლილებები ნაკლებად ეხება იმ რეგიონების მოსახლეობას, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს სეზონური შემოსავლები და ე.წ. საარსებო სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. თვითუზრუნველყოფილი საქართველოს არსი კი ისაა, რომ მოქალაქეები თავად უძღვებოდნენ ქვეყნის განვითარებას, ინარჩუნებდნენ წინსვლას და ავლენდნენ კრიზისული სიტუაციების გამკლავების უნარს. საქართველოს მოქალაქეების ამ უნარების გაძლიერების მიზნით, მისია აქცენტს განათლების ხარისხზე, ანუ საქართველოს მთავრობის 2018-2023 წლების განათლების რეფორმის

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

პრიორიტეტზე გააკეთებს. გარდა ამისა, USAID ასევე ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას ქვეყანის ეკონომიკურ ზრდაზე და არა სოციალურ პროგრამებზე გათვლილი, ეფექტური და სამართლიანი შესაძლებლობებისა და ინიციატივების შექმნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება შემოსავლების უთანაბრობის საკითხის გადაჭრის აუცილებლობაც, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებთ, რომ საქართველოს ,,ჯინის კოეფიციენტი" (რომელიც მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობას ზომავს) 36.3-ს უტოლდება (მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემები). ეს კი, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ევროპისა და ევრაზიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია შემოსავლების უთანაბრობის მაღალი დონე.

მოქალაქეები უთანასწორობას აწყდებიან ისეთ სახელმწიფო სერვისებით სარგებლობისას, როგორიცაა, მაგალითად, განათლება. ,,განათლების ხარისხის" ინდიკატორი ქვეყნის განათლების სისტემას როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით აფასებს. საქართველოში არსებობს მკვეთრი განსხვავება როგორც ხელმოკლე და შეძლებული, ასევე სოფლად და ქალაქად მცხოვრები მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ მიღებული განათლების დონეებს შორის. აუცილებელია აღნიშნული განსხვავების აღმოფხვრა, რათა განათლება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის თანაბრად ხელმისაწ-ვდომი გახდეს, რაც, თავის მხრივ, ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივიზმს უზრუნველყოფს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ნიშნით.

2020 წლის საქართველოს გზამკვლევში ასახული რეიტინგის შეფასებისას რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია გასათვალისწინებელი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეიტინგი ,,სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების" ქვე-კატეგორიაში საკმაოდ მაღალია, ეს სექტორი ჯერ კიდევ დონორებისგან მიღებულ დაფინანსებაზეა დამოკიდებული. საქართველოს მთავრობის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზა-ციებისთვის შეთავაზებული საგრანტო შესაძლებლობები არც ისე ფართო და მასშტაბურია, რომ სექტორის ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოს. არსებულ დანაკლისს კი, ვერც მოქალაქეთა მიერ გაღებული შემოწირულობები ავსებს. ,,ეკონომიკის შესაძლებლობების" ქვე-კატეგორიის ,,ექსპორტის კომპლექსურობის" ინდიკატორის მიხედვით, ქვეყნის რეიტინგი საშუალოზე მაღალია. მიუხედავად ამისა, ექსპორტი ჯერ კიდევ სერვისებისა და დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე სექტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა სპილენძი და მეორადი ავტომობილების რეექსპორტი. გზამკვლევში საქართველომ მაღალი შეფასება მიიღო ,,დაცულობისა და უსაფრთხოების" ინდიკატორის მიხედვითაც, თუმცა აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება იმ ქვეყანაში არსებულ რეალობას, რომლის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, ბიზნესის სექტორში განხორციელებული წარმატებული რეფორმების კუთხით, მსოფლიოს მოწინავე ქვეყანაა, ეკონომიკურ ზრდას დასაქმებისა და ხელფასების დონეთა პროპორციული მატება არ მოჰყოლია. როგორც

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

აღინიშნა, ქვეყნის რეიტინგი ,,ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სა“ და ,,სიღარიბის დონის“ ინდიკატორებში დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების გასაშუალოებულ მონაცემებზე მაღალია, მაგრამ ეკონომიკური ზრდა არათანაბრად ნაწილდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებსა და ფენებზე. მაგალითად, მან დიდად ვერ არგო იმ რეგიონებს, სადაც ეკონომიკური საქმიანობის ქვაკუთხედს კვლავაც საარსებო სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შინამეურნეობების შემოსავალი, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, საშუალოდ 20%-ით დაბალია მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლებში საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხები და არაფულადი შემოსავლებიც ჩათვლილია. მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს, თუკი არსებული პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი ღონისძიებები არ გატარდება. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის 51% ქვეყანაში არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ დასაქმებას მიიჩნევს. შესაბამისად, დასაქმება ეკონომიკურ ზრდაზე გათვლილ სამომავალო პროგრამებში ერთი-ერთი წამყვანი თემა იქნება. ზემოაღნიშნულიდან უნდა გამოვიტანოთ მთავარი დასკვნა - ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ამ თვალსაზრისით, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს რეფორმების ფორმულირებასა და მათ განხორციელებას შორის არსებული ხარვეზები, რომლებიც ხელმოკლე და მარგინალი-ზებული მოსახლეობის ცხოვრებაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ.

განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბების საწინდარი ძლიერი, ერთიანი საზოგადოებაა, რომელიც მიესალმება მრავალფეროვნებას. ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტის 2019 წელს გამოქვეყნებულ მოსაზრებაში საუბარია საქართველოს როგორც წარმატებულ რეფორმებზე, ასევე არსებულ ხარვეზებზე. ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განსხვავებულ მიდგომებზე ქვეყანაში მრავალფეროვანი საზოგადოებრივი გარემოს დასამკვიდრებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ენასთან და უმცირესობების სხვა პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა ძირითადად ქვეყნის უსაფრთხოების ჭრილში ხდება, რაც ზემოაღნიშნულ უმცირესობებში ხშირად უნდობლობას იწვევს. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საუბარია უმცირესობების დაცვის მხრივ არსებულ ისეთ გამოწვევებზე, როგორიცაა განათლების ხელმისაწვდომობა, კულტურული მემკვიდრეობისა და თვითიდენტურობის დაცვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის ავტორები რელიგიური სიძულვილის მოტივაციით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმატებით გაწეულ საქმიანობას ხაზს უსვამენ, ისინი იქვე მიუთითებენ რელიგიური თავისუფლების დაცვის სფეროში არსებულ სტაგნაციაზეც. უფრო კონკრეტულად კი, საუბარია სტრუქტურული ხასიათის დისკრიმინაციაზე, რომელიც ქმნის დაბრკოლებებს როგორც დაფინანსების მოპოვების, ასევე სალოცავი ადგილების

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ხელმისაწვდომობის კუთხით. ზემოაღნიშნული კონვენცია აგრეთვე ამახვილებს ყურადღებას საჯარო სკოლებში რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლინებებზე, რაც დასტურდება მოსწავლეების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების, სკოლის შენობაში მასწავლებლების მიერ რელიგიური ნივთების გაყიდვის და ჯგუფურ ლოცვებში იძულებითი მონაწილეობის ფაქტებით. აღსანიშნავია, რომ გადაუჭრელია ახალგაზრდების უმუშევრობის საკითხიც (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში). სოფლებში უმუშევრობის დონე საშუალო ეროვნულ მაჩვენებელთან შედარებით 19.3%-ით მაღალია. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2019 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იმ რეგიონებში სადაც უმცირესობები უმრავლესობას წარმოადგენენ, მოსახლეობის 75% თავს უმუშევრად მიიჩნევს.

ბოლოს კი, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების უპირატესობაში დარწმუნება. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ უმცირესობათა დასახლებებში გამოკითხულთა მხოლოდ 57% უჭერს მხარს მთავრობის მიერ განცხადებულ მიზანს - ევროკავშირში გაწევრიანებას - მაშინ, როდესაც ქვეყნის მასშტაბით ეს მაჩვენებელი 78%-ის ტოლია. ამასთანავე, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საქართველოს ნატოში გაერთიანების მისწრაფებას გამოკითხულთა მხოლოდ 36% იზიარებს. შედარებისთვის, ქვეყნის მასშტაბით ნატოში გაწევრიანებას გამოკითხულთა 71% უჭერს მხარს.

რაც შეეხება ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშში, საქართველო კვლავ ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.

სტრატეგია და ქვეყნის პრიორიტეტები

მისიის სტრატეგიული ხედვა, რომელიც საქართველოს თვითუზრუნველყოფისა და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების ხელშეწყობას ითვალისწინებს, სრულ თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის ევროკავშირში გაწევრიანების გრძელვადიან პრიორიტეტთან. გარდა ამისა, სააგენტო ხელს უწყობს საქართველოს მიაღწიოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ მიზნებს და წარმატებით განახორციელოს ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიები და რეფორმები, როგორებიცაა, მაგალითად, დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია, 2018-2023 წლების განათლების რეფორმა, 2019 წელს წამოწყებული სამშვიდობო ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“[4] და საარჩევნო რეფორმა.

[4] ფონდი 2019 წლის 12 აგვისტოს დაფუძნდა. მისი ამოცანაა, ხელი შეუწყოს სამშვიდობო ინიციატივის მიზნებს, მშვიდობის მშენებლობას, თანამშრომლობასა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი ხელს უწყობს ინდივიდუალური და პარტნიორული ბიზნესპროექტების განხორციელებას გამყოფი ხაზების გასწვრივ. მისი დამფუძნებლები არიან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საპარტნიორო ფონდი და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

USAID ადგილობრივ ორგანიზაციებთან და სხვა დონორებთან ითანამშრომლებს, რათა თვალყური ადევნოს საქართველოს მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული რეფორმების, როგორც ქვეყნის თვითუზრუნველყოფისთვის აუცილებელი კომპონენტების, განახორციელების პროცესს. გარდა ამისა, USAID საქართველოს მთავრობასთან ითანამშრომლებს, რათა ხელი შეუწყოს ა) ქვეყნის წინსვლას იმ სფეროებში, სადაც არსებობს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ნება და/ან შესაბამისი კვალიფიკაცია (მაგ. განათლების რეფორმა, სამშვიდობო ინიციატივა და ელექტრონული მმართველობა), ბ) მოქალაქეებისთვის სახელმწიფო სერვისების უფრო ეფექტურად და ეფექტიანად მიწოდებას და გ) ანგარიშვალდებულების ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლებიც პასუხობს მოქალაქეთა პრიორიტეტებს და უზრუნველყოფს მთავრობის საქმიანობაზე მოქალაქეთა და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენელთა ზედამხედველობას.

მავნე ზეგავლენა

საქართველო, როგორც ე.წ. „ფრონტისპირა სახელმწიფო“, მნიშვნელოვან გზაგასაყარზე დგას, სადაც ქვეყნის მიერ დღემდე მოპოვებულ წარმატებასა და დასახულ გეგმებს დიდი გამოცდა ელის. საქართველოს ტერიტორიები ჯერ კიდევ ოკუპირებულია, ხოლო, ერთი მხრივ, ევროპასა და აზიას, მეორე მხრივ კი, რუსეთსა და ირანს შორის მოქცეული ქვეყანა კვლავ რთულ და არასტაბილურ გეოპოლიტიკურ გარემოში განაგრძობს ცხოვრებას. ამავდროულად, საქართველო არც ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსიისა და გავლენისგანაა დაცული. ერთი რამ ცხადია - საქართველოს მდგრადი თვითუზრუნველყოფა ფაქტობრივად შეუსრულებელ ამოცანად დარჩება, ვიდრე გრძელდება რუსული ოკუპაცია და კრემლის არაკონტროლირებადი მავნე ზეგავლენა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ბევრ ნიუანსს მოიცავს. კრემლის მავნე და აგრესიული საგარეო პოლიტიკა პიროვნულ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებსაც კი დაღს ასვამს. რუსეთის მასშტაბიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ჩრდილოელი მეზობლის ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილ ზეგავლენას ასე იოლად თავს ვერ დააღწევს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის 82% ევროკავშირში გაერთიანების იდეას მხარს უჭერს, 41%-ს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ევროკავშირი ქვეყნის ფასეულობებს საფრთხეს უქმნის. ეს გარემოება, ნაწილობრივ, აიხსნება რუსეთის მიერ წარმოებული, ფართომასშტაბიანი დეზინფორმაციის კამპანიით და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მანიპულირებით, რასაც კრემლი იყენებს, როგორც საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების დისკრედიტაციის პოლიტიკურ ბერკეტს. საქართველო დაუცველია კრემლის მიერ დაგეგმილი და წარმატებით განხორციელებული კიბერთავდასხმებისგანაც. ბოლო თავდასხმა 2019 წლის 28 ოქტომბერს მოხდა, როდესაც, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ საქართველოზე ფართომასშტაბიანი, მავნებლური კიბერთავდასხმა განახორციელა. ინციდენტმა პირდაპირი ზიანი მიაყენა საქართველოს მოსახლეობას, შეაჩერა საქართველოს მთავრობისა და კერძო

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ორგანიზაციების ათასობით ვებგვერდის ფუნქციონირება და ორი მთავარი სატელევიზიო არხის სამაუწყებლო პროცესი.

რაც შეეხება დემოკრატიისა და საინფორმაციო სფეროებს, საქართველოს პრორუსული და ულტრა-ნაციონალისტური დაჯგუფებები ე.წ. „ეროვნული ძალების ხელშეკრულებას“ ოფიციალურად შეუერთდნენ, რასაც სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში კრემლის პოლიტიკის მხარდამჭერი ნარატივის გამძაფრება და ანტი-ამერიკული და ანტი-დასავლური მედია საშუალებების გააქტიურება მოჰყვა. ქვეყნის დასავლური ორიენტაციის დისკრედიტაციის მიზნით, რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით მოსარგებლე მედია და საგანმანათლებლო ორგანიზაციები აქტიურად შეუდგნენ საზოგადოებაში განხეთქილების ჩამოგდებას ისეთი საკითხების მანიპულირებით, როგორიცაა ლესბოსელი, გეი (ჰომოსექსუალი), ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანები (LGBTI) და სხვა უმცირესობების უფლებები.

რაც შეეხება ეკონომიკას, საქართველო რუსეთის მზარდი ზეგავლენის წინაშე ამ სფეროშიც არანაკლებ დაუცველია. 2015 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, ფულადმა გზავნილებმა და ექსპორტის მოცულობამ საქართველოს მშპ-ს 16% შეადგინა. 2017 წელს კი, ეს მაჩვენებელი 22%-მდე გაიზარდა. 5%-ით გაიზარდა საქართველოდან რუსეთში ექსპორტის დონეც. კრემლი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ახდენს ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის ურთიერთობებით მანიპულირებას, რათა ხელში ჩაიგდოს ის პოლიტიკური ბერკეტი, რომელიც საქართველოს დასჯის ან მის გარკვეულ დათმობებზე დაყოლიების. შესაძლებლობას მისცემს. მაგალითად, 2019 წელს რუსეთმა საქართველოსთან ავიამიმოსვლა აკრძალა, ხოლო 2006 და 2013 წლებში ქართული კომპანიები ფიტოსანიტარული ნორმების დარღვევაში დაადანაშაულა და ქართული პროდუქციის, მათ შორის, კვების პროდუქტებისა და ღვინის იმპორტიც აკრძალა.

რუსეთის მთავრობის მავნე და აგრესიული გავლენა საქართველოს სუვერენიტეტსა და სტაბილურობას პირდაპირ საფრთხეს უქმნის. როგორც რეზიუმეში აღინიშნა, ბევრი დაინტერესებული პირი ბოროტად იყენებს კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებს (როგორც ინტერნეტ-სივრცეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ), რათა მიაღწიოს საქართველოს დასავლური ორიენტაციის დელეგიტიმაციას და ქვეყნის რუსეთზე ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დამოკიდებულების დონის გაზრდას. მისია საქართველოს მთავრობასთან აქტიურად და სტრატეგიულად ითანამშრომლებს, რათა ქვეყანა, წარსულ გამოცდილებასა და წარმატებულ საქმიანობაზე დაყრდნობით, კრემლის მავნე ზეგავლენას ეფექტურად გაუმკლავდეს.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

III. სტრატეგიული მიდგომა

USAID-ის საქართველოსთან პარტნიორობის ახალი ეტაპი

წინამდებარე სტრატეგიაზე დაყრდნობით USAID-ი ხელს შეუწყობს საქართველოს თვითუზრუნველყოფისკენ ეფექტური, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული გზით სვლას. საქართველოს 2020 ფისკალური წლის გზამკვლევის განხილვისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში დაისვა კრიტიკული მნიშვნელობის მქონე კითხვა: როგორ უნდა გამოიყენოს USAID-მა ქვეყნის მიღწევები ზემოაღნიშნული შესაძლებლობებისა და ვალდებულებების სფეროებში ისე, რომ ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადაყვანა შეძლოს? მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში USAID დაიწყებს საქართველოსთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან ურთიერთობების შემდგომ განვითარებას, რაც გულისხმობს ქვეყნის მთავრობის, ინსტიტუტებისა და მოქალაქეების გაძლიერებას. სხვადასხვა სექტორებში არსებული შესაძლებლობებიდან და ვალდებულებებიდან გამომდინარე, მისიამ პარტნიორული ურთიერთობის ფორმირების სამ საფეხურიანი სისტემა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ინსტიტუტები შეძლებენ მეტი პასუხისმგებლობის აღებას, USAID კი, უზრუნველყოფს მისიის ინვესტიციების მდგრადობას და ისეთ პროგრამებს განახორციელებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს მიაღწიოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას, თვითუზრუნველყოფას და მავნე ზეგავლენისადმი მედეგობას.

მისიის მიერ შემუშავებული შედეგების ჩარჩო სრულად ასახავს USAID-ის სტრატეგიის მიზანს, ხელი შეუწყოს თვითუზრუნველყოფილი საქართველოს ევროკავშირის ინსტიტუტებ-თან მაქსიმალურ დაახლოებასა და მათში საბოლოო ინტეგრაციას. შესაბამისად, ქვემო-აღნიშნულ სლოგანში შეჯამებულია საქართველოსთან პარტნიორობის ახალ საფეხურზე გადასვლის სტრატეგიული ხედვა, წინამდებარე დოკუმენტის კონცეპტუალური წანამძღვრები და შედეგების ჩარჩოში ასახული პრიორიტეტები.

ურთიერთობის ახალი ეტაპი, მედეგი პარტნიორობა, მდგრადი შედეგები.

ახალი სტრატეგიის მიხედვით, USAID ხელს შეუწყობს საქართველოსთან პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადასვლას, რაც გულისხმობს ქვეყანასთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან და არა როგორც საერთაშორისო დახმარების მიმღებ ქვეყანასთან ურთიერთობის განვითარებას. ამასთანავე, USAID მხარს დაუჭერს საქართველოს თვითუზრუნველყოფისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის აუცილებელი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას. მისიის კონცეპტუალური ხედვა ეფუძნება საქართველოს თვითუზრუნველყოფის 2020 ფისკალური წლის გზამკვლევში (J2SR Country Roadmap) ასახულ მიღწევებს ისეთ ქვე-კატეგორიებში, როგორებიცაა „ეკონომიკური პოლიტიკა“, „მოქალაქეების შესაძლებლობები“ და ,,სამოქალაქო საზოგადოების შესაძლე-ბლობები“. ამავდროულად, USAID ითანამშრომლებს საქართველოსთან ,,მთავრობის შესაძლებლობების“, ,,ინკლუზიური განვითარებისა“ და ,,ღია და ანგარიშვალდებული მმართველობის“ ქვე-კატეგორიებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სტრატეგია ითვალისწინებს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ არასტაბილურობასაც,

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს მიღწეული პროგრესის შენარჩუნება, სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანების გადაჭრა, დემოკრატიული რეფორმების შესაძლო რეგრესის თავიდან აცილება და იმ გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინება, რომელიც საფრთხეს უქმნის მიღწეულ წარმატებასა და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

ქვეყნის სხადასხვა სექტორში არსებული შესაძლებლობებისა და ვალდებულებების, ისევე როგორც ანგარიშვალდებულებისა და მედეგობის პრიორიტეტული თემების[5] გათვალისწინებით, USAID-მა პარტნიორული ურთიერთობის ფორმირების სამ საფეხურიანი სისტემა შეიმუშავა, რაც გულისხმობს საქართველოს **მხარდაჭერას**, მასთან **პარტნიორობას** და მის **გაძლიერებას** ქვეყნის თვითუზრუნველყოფის, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და მავნე ზეგავლენისადმი მზარდი მედეგობის მისაღწევად. აღნიშნული სისტემა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც პირამიდა, რომლის ქვედა საფეხურზე მყოფი ინსტიტუტები ყველაზე მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას. შესაბამისად, რაც უფრო მეტი ინსტიტუტი გადაინაცვლებს ზედა საფეხურებზე, მით უფრო მიუახლოვდება საქართველო თვითუზრუ-ნველყოფის საბოლოო მიზანს.

დიაგრამა 1-ლი: პარტნიორული ურთიერთობის ფორმირების სამ საფეხურიანი სისტემა



პირამიდის თითოეულ საფეხურზე, მისია საქმიანობის მოცულობასა და რესურსებს საქართველოს მთავრობის, ინსტიტუტებისა და მოქალაქეების საჭიროებებს შეუსაბამებს. გარდა ამისა, USAID სააგენტოს „შესყიდვებისა და დახმარების სტრატეგიითა“ და ,,ახალ

[5] აღნიშნული პრიორიტეტული თემები სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამართული დისკუსიებისა და კონსულტაციების პროცესში გამოიკვეთა.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

პარტნიორებთან თანამშრომლობის ინიციატივითაც“ იხელმძღვანელებს იმისათვის, რომ განავითაროს ადგილობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობები და გაზარდოს პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა. მისიის ხელშეწყობით არაერთი ადგილობრივი ორგანიზაცია შეძლებს ზემოაღნიშნული პირამიდის ქვედა საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე გადანაცვლებას, USAID კი, მიიჩნევს, რომ მისი საქმიანობის მთავარი შედეგი იქნება გაძლიერებული, თვითკმარი ქართული ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც თავად გაუძღვებიან ქვეყანას თვითუზრუნველყოფისკენ მიმავალ გზაზე.

სამ საფეხურიანი სისტემის ქვედა საფეხურზე ის სფეროები მოიაზრება, რომლებშიც ვალდებულებებისა და შესაძლებლობების ყველაზე დაბალი დონე გამოვლინდა და რომელთა **მხარდაჭერაც** აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, USAID გეგმავს გააგრძელოს იმ ქართული ინსტიტუტების მხარდაჭერა, რომლებიც შესაძლებ-ლობებისა და ვალდებულებების მაღალი დონით არ გამოირჩევიან, თუმცა საქმიანობენ იმ დარგებში, რომელთა განვითარებასაც აშშ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, ვიცით, რომ დაბალია საქართველოს მთავრობის შესაძლებლობებისა და ვალდებულებების დონე მოსახლეობის მარგინალიზებული ნაწილის საზოგადოებაში ინტეგრაციასთან მიმართებაში. მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული მოსახლეობა გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენის (რომლის შემცირებაც აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს) ქვეშ შედარებით მარტივად ექცევა, USAID-ის პროგრამები გაზრდის მათ სოციალურ ჩართულობას, ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიურ მონაწილეობას და მავნე ზეგავლენებისადმი მედეგობას.

პირამიდის მეორე საფუხერზე ის სექტორები მოიაზრება, რომლებშიც ვალდებულებების დონე მაღალია, შესაძლებლობების კი, დაბალი. ამ შემთხვევაში, ვალდებულებათა მაღალი დონის შენარჩუნების მიზნით, მისია **პარტნიორობას გაუწევს** ქართულ ორგანიზაციებს და ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების განვითარებას. საერთო მიზნების მისაღწევად, USAID პარტნიორი ორგანიზაციების ვალდებულებათა მაღალ დონეს მაქსიმალურად გამოიყენებს. მაგალითად, საქართველო გამოირჩევა ვალდებულებათა მაღალი დონით განათლების სექტორის, როგორც სახელმწიფო პრიორიტეტის, განვითარების კუთხით, მაგრამ ქვეყანას ამ სფეროში აუცილებელი ცვლილებების განხორციელებისათვის საკმარისი შესაძლებლობები არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, რეფორმის წარმატებულად განხორციელების მიზნით, USAID საქართველოს მთავრობას ტექნიკური მხარდაჭერას შესთავაზებს. ამავე სულის-კვეთებით, მისია ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურის შემდგომ რეფორმირებას და ქვეყანაში ანგარიშვალდებულებისა და მედეგობის გაუმჯობესებას.

პირამიდის ზედა საფეხურზე ის სექტორები მოექცა, რომლებიც ვალდებულებებისა და შესაძლებლობების მაღალი დონით გამოირჩევიან. ამ შემთხვევაში, USAID ხელს შეუწყობს საქართველოს პოტენციალის **გაძლიერებას**, რათა ქვეყანამ წარმატებული სექტორების განვითარება დამოუკიდებლად განაგრძოს და საკუთარი გამოცდილება რეგიონის სხვა ქვეყნებსაც გაუზიაროს. ამ მიდგომით, USAID ხელს შეუწყობს ვალდებულებებისა და შესაძლებლობების მაღალი დონით გამორჩეულ ინსტიტუტებს მათ წინაშე არსებული ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრაში. მისიის აზრით, თანამშრომლობის ეფექტი მაქსიმა-

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ლურად გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ინსტიტუტების გამოცდილებით ვალდებულებებისა და შესაძლებლობების დაბალი დონის მქონე ორგანიზაციებიც იხელმ-ძღვანელებენ. მაგალითად, ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, ელექტრონული მმართველობის სექტორში საქართველოს ვალდებულებებისა და შესაძლებლობების დონე მაღალია. USAID-ის ხელშეწყობით კი, ქვეყნის მთავრობამ მათ გამოცდილებას სხვა სექტორებშიც წარმატებით გამოიყენებს. რაც შეეხება მედეგობას, ვალდებულებებისა და შესაძლებლობების დონე მაღალია საჯარო და კერძო ინსტიტუტებს შორის დიალოგის წარმართვისა და კერძო სექტორის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმების კუთხით. ამ შემთხვევაში, მისია დაეხმარება საქართველოს ისეთი მექანიზმების შექმნაში, რომლებიც ხელს შეუწყობს დიალოგის ეფექტურად წარმართვას და მდგრადი შედეგების მისაღწევად აუცილებელი პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას.

ზემოაღნიშნული მიდგომები შემუშავებულია იმგვარად, რომ USAID-ის ინვესტიციების მდგრადობა უზრუნველყოს. ამის მისაღწევად კი, მისია ქვეყნისთვის გაწეულ დახმარებას პარტნიორი ორგანიზაციების ვალდებულებათა და შესაძლებლობათა შესაბამის დონეს შეუსაბამებს. მისია გამოიყენებს სააგენტოს ხელთ არსებულ, ორგანიზაციული შესაძლებ-ლობების განვითარების სხვადასხვა მეთოდებს, როგორებიცაა ადამიანური და ინსტიტუცი-ური შესაძლელობების განვითარება და შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო 2.0. გარდა ამისა, USAID გამოიყენებს საკუთარი თანამშრომლების გამოცდილებასა და კომპეტენციას პარტნიორული ურთიერთობების ფორმირების ყველა საფეხურზე, რათა ხელი შეუწყოს ისეთი ძლიერი ქართული ინსტიტუტების შექმნას, რომელთაც ხელეწიფებათ ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მიღწევაც და შენარჩუნებაც.

სტრატეგიის განხორციელების პერიოდში, USAID გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს სტაბილურობისა და ინკლუზიის, დემოკრატიისა და მმართველობის და ეკონომიკური ზრდის სექტორებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ სტაბილურობისა და ინკლუზიის სექტორს დაემატება ახალი პრიორიტეტი - მავნე ზეგავლენისადმი ქვეყნის მედეგობის განმტკიცება. ის გარემოება, რომ საქართველოს პარტნიორთა დახმარების გარეშე გაუჭირდება ამ რთული საკითხის გადაჭრა, მისიას აძლევს შესაძლებლობას, გააგრძელოს საქართველოს სამშვიდობო და შერიგებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა. ახალი პროგრამების ეფექტურად მართვისთვის, USAID-ის მიდგომა იქნება მაქსიმალურად მოქნილი, ადაპტირებ-ადი და სწრაფად ცვალებადი გარემოს შესაბამისი, რაც გულისხმობს გონივრული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას და მყარი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას.

დემოკრატიისა და მმართველობის სექტორში, USAID აქცენტს ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმებიდან (რომლებმაც ცენტრალური მთავრობის ეფექტიანობის გაზრდის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს) მოქალაქისადმი ყველა დონეზე ანგარიშვალ-დებული მმართველობის უზრუნველყოფაზე გადაიტანს. სტრატეგიის ერთი-ერთი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს საზოგადოების აქტიურ თანამშრომლობას საქართველოს მთავრობასთან და ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც მოქალაქე ქვეყნის პასუხისმგებელ

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ინსტიტუტებსა და პირებს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას მოსთხოვს ღია და ანგარიშვალდებული მმართველობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით.

ეკონომიკური ზრდის სფეროში, საბაზისო ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების პროგრამებს ბიზნესის სტიმულირებაზე გათვლილი აქტივობები ჩაანაცვლებს, რომელთა მიზანია, მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა. საქართველომ ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშემწყობი რეფორმების გასატარებლად და კერძო სექტორის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა შეძლოს დივერსიფიცირებული, ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების მდგრად მართვაზე დამყარებული, მაღალხარისხიანი პროდუქციისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის შექმნა. მისია გაითვალისწინებს წარსულ გამოცდილებასაც, რათა ეკონომიკურმა ზრდამ სარგებელი სოფლად თუ ქალაქად მცხოვრებ ყველა მოქალაქეს მოუტანოს. მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობების შექმნით კონსტრუქციული ნაბიჯი გადაიდგმება მოსახლეობის იმ ნაწილის საპასუხოდ, რომელიც მთავრობის საქმიანობას უარყოფითად აფასებს (რაც გამოწვეულია ბოლო ათი წლის მანძილზე მიღწეული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად არსებული უმუშევრობით). ამგვარად, დასაქმების შესაძლებლობების ზრდა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობისადმი ნდობის ამაღლებას და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მდგრადობას.

პარტნიორობის ფორმები და სხვა ორგანიზაციები

სტრატეგიის განსახორციელებლად მისია შექმნის პარტნიორობის ახალ მოდელებს და მიდგომებს, რომელთა შორისაა პროგრამების ერთობლივი დიზაინი, თანადაფინანსება, ერთობლივი ინვესტიციები, გლობალური განვითარების ალიანსი (GDA), კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობა (PPP), ხელშეკრულება განვითარების მიზნის შესახებ (DOAG) (რომელიც განსაზღვრავს მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებებს), გაფართოებული მთავრობათაშორისი (G2G) მექანიზმები და კერძო სექტორის ჩართულობა (PSE). ზემოაღნიშნული მექანიზმები გულისხმობს შესყიდვების პროცესში უფრო მეტი ადგილობრივი პარტნიორის მონაწილეობას, ქართული მხარის თაოსნობით შემუშავებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერას, სტრატეგიული პარტნიორების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობას და ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობის გაზრდას.

სააგენტოს ,,შესყიდვების და დახმარების სტრატეგიის“ და ,,ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობის ინიციატივის“ (NPI) საფუძველზე, მისია გაზრდის პარტნიორთა რიცხვს და შექმნის პარტნიორული ურთიერთობების ახალ მოდელებს, რომლებშიც USAID-ის მიერ გაღებული ინვესტიციების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით წამყვანი როლი ადგილობრივ ორგანიზაციებს მიენიჭება. მისიის რესურსები მოხმარდება სამოქალაქო მოძრაობების და მოქალაქეების მიერ წამოწყებული აქტივობების მხარდაჭერას თბილისსა და რეგიონებში. USAID საქართველოს მთავრობასთან და კერძო კომპანიებთან ერთად

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

განახორციელებს ერთობლივი დიზაინისა და თანადაფინანსების უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამებს. ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, მისია სამთავრობო სტრუქ-ტურებთან პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადავა, რათა მათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დაეხმაროს. რაც შეეხება კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას, USAID მჭიდროდ ითანამშრომლებს მათთან, რათა კიბერუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და კრემლის მავნე ზეგავლენის დასაძლევად ეფექტური და ინოვაციური მიდგომები შეიქმნას. ამგვარად, მისია მყარ საფუძველს ჩაუყრის ძლიერი და ეფექტური ქართული ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც წარმატებით გაუძღვებიან ქვეყანას თვითუზრუნველყოფისკენ მიმავალ რთულ გზაზე.

„პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებური მიდგომების“ (RDR) ფარგლებში USAID გეგმავს:

- ხელი შეუწყოს საქართველოს შემდგომ წინსვლას იმ სფეროებში, სადაც ქვეყანას მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ნება და კომპეტენცია გააჩნია იმისათვის, რომ მოსახლეობას სერვისები უფრო ეფექტურად და ეფექტიანად მიაწოდოს. თანადაფინანსების წახალისების მიზნით, მისია აგრეთვე ხელს შეუწყობს მთავრობათაშორისი ურთიერთობების დამყარებას შესაბამის ინსტიტუტებთან.
- განიხილოს საქართველოს მთავრობასთან ერთად სოფლის მეურნეობის მოწინავე ქვე-სექტორების თანადაფინანსების შესაძლებლობები ამ სექტორთა სრულფასოვანი მდგრადობის მისაღწევად.
- დაეხმაროს საქართველოს მთავრობას შექმნას ანგარიშვალდებულების ისეთი მექანიზმები, რომლებიც მოქალაქეთა საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული და რომლებიც მოქალაქეებსა და მათ მიერ არჩეულ პირებს მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობის შესაძლებლობას მისცემს.
- ითანამშრომლოს სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც საქართველოს მთავრობას მოსთხოვენ ნაკისრი ვალდებულებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას (რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული მმართველობის შექმნას).
- გამოიყენოს ტექნიკური დახმარება, დონორთა ჩართულობა და დიპლომატიური მხარდაჭერა, რათა რეფორმები იმ ფორმატითა და სულისკვეთებით განხორციელდეს, რომლითაც მოხდა მათი შემუშავება და დამტკიცება (ეს ეხება იმ სფეროებს, სადაც პოლიტიკური ნება შესუსტდა, მაგალითად, სასამართლო რეფორმას).
- მხარი დაუჭიროს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას და საგრანტო პროგრამებს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისთვის. ამ სფეროში, მისია აქტიურად ითანამშრომლებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორო-ბის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

- ხელი შეუწყოს საქართველოს გადადგას ქმედითი ნაბიჯები თვითუზრუნველყოფის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტის - მიმზიდველი საკანონმდებლო და მარეგულირებელი საინვესტიციო გარემოს - შესაქმნელად.
- გააძლიეროს ადგილობრივი კომპანიების უნარი დაფინანსების/ბიზნესსესხების მოსაპოვებლად.

USAID-ის მხარდაჭერით საქართველოს მთავრობამ ადგილობრივი შემოსავლების მობილიზებას წარმატებით გაართვა თავი. ეს კი „დაფინანსება თვითუზრუნველყოფისთვის" (FSR) სტრატეგიის განხორციელების სანიმუშო მაგალითია, რომელიც მისიას პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებური მიდგომების დანერგვაში დაეხმარება. ამ კუთხით, USAID გამოიყენებს საქართველოს მიღწევებს საჯარო ფინანსების მართვის (სადაც საქართველოს ბიუჯეტის გამჭირვალობის ინდიკატორი შეადგენს 100-იდან 81 ქულას), კერძო ინვეს-ტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნის (ქონების რეგისტრაციის ინდიკატორი შეადგენს 92.0-ს) და ადგილობრივი შემოსავლების მობილიზიების (გადასახადების გადახდის ინდიკატორი შეადგენს 100-იდან 89.0 ქულას, რაც 2016 წელს ნაჩვენებ 83.5 ქულასთან შედარებით მნიშვნელოვანი მატებაა) სფეროებში. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ხელშემწყობი ეკონომიკური რეფორმების განსახორცი-ელებლად ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდ ძალისხმევას ახმარს მისია პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებური მიდგომების დანერგვას. აღნიშნული მხარდაჭერა აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ბაზრებისა და იმ ეკონომიკური სექტორების განვითარებას, რომლებსაც ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ (მაგალითად, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი). პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს საქართველოში მიმზიდველი საკანონმდებლო და მარეგულირებელი საინვესტიციო გარემოს შექმნას და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას.

მისიას კარგად ესმის, რომ დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ აშშ-ს მთავრობის უწყებათაშორის პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით და ევრო-კავშირთან და სხვა წამყვან დონორებთან კოორდინაციით. ამჟამად, USAID აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან, ბრიტანეთის საელჩოსთან და სხვა დონორებთან, რათა მოხდეს საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებული სამშვიდობო ინიციატივის ხელშემწყობი საერთაშორისო დახმარების კოორდინაცია. USAID გააგრძელებს თანამშრომ-ლობას დაინტერესებული ორგანიზაციების ფართო სპექტრთან, რათა შეაფასოს მთავრობის ძალისხმევა განათლებისა და დეცენტრალიზაციის რეფორმების განხორციელებაში. ვითარების შესაბამისად (მაგალითად, ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და ენერგო-უსაფრთხოების სფეროებში), USAID გამოიყენებს საკუთარ ავტორიტეტს მრავალმხრივი და წარმომადგენლობითი პარტნიორული ურთიერთობების დასამყარებლად, რაც საერთაშორი-სო დახმარების ეფექტიანობასა და ეფექტურობას გაზრდის. საჭიროების მიხედვით, მისია

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

საქართველოს სამთავრობო უწყებებთან ურთიერთგაგების მემორანდუმებს გააფორმებს, რომლებშიც ორმხრივი ვალდებულებები აისახება.

ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში, მისია გამოიყენებს „ქვეყნის განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიის გენდერული ანალიზის“ მიგნებებსა და რეკომენდაციებს, სააგენტოს ,,გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების სტრატეგიას“ და დირექტივების ავტომატური სისტემის (ADS) 205-ე თავს, რომელშიც მოცემულია USAID-ის პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ციკლში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პრინციპების ინტეგრაციის ინსტრუქციები.

სტრატეგიული ინდიკატორები

- პირველი წლის დასასრულს მოხდება შემდეგი სტრატეგიებისა და პრიორიტეტების ინტეგრირება ახალ პროგრამებში: „ქვეყნის გზა თვითუზრუნველყოფისკენ“ (J2SR), „კრემლის მავნე ზეგავლენასთან ბრძოლის სტრატეგია“ (CMKI), „კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგია“ (PSE), „დაფინანსება თვითუზრუნველყოფისათვის“(FSR) და „პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებური მიდგომა“ (RDR).
- მეორე წლის დასასრულს საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს ტურისტული ბაზრების დივერსიფიკაციის სტრატეგიას.
- მეოთხე წლის დასასრულს საქართველო შეძლებს ენერგოსექტორის საქმიანობის საბაზრო პრინციპებზე გადაყვანას.
- მეოთხე წლის დასასრულს განხორციელდება სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის მიხედვით გათვალისწინებული ცვლილებების 90%.
- მეოთხე წლის დასასრულს ერთობლივი დიზაინის საფუძველზე შემუშავებული პროექტები შეადგენს მისიის პროგრამების საერთო რაოდენობის 25%-ს.

სტრატეგიის განხორციელების შედეგად, USAID-ის მიერ გაწეული საქმიანობა მყარ საფუძველს ჩაუყრის საქართველოს წინსვლას ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ, დაიცავს საქართველოს გარე საფრთხეებისგან (მათ შორის - გარეშე ძალთა მიერ თავსმოხვეული მავნე ზეგავლენისგან) და ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეებს ისარგებლონ გაუმჯობე-სებული მმართველობით, კანონის უზენაესობითა და დასაქმების შესაძლებლობებით.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

IV. შედეგების ჩარჩო

სტრატეგიის მიზანი და აღწერილობა

USAID/საქართველოს 2020-2025 წწ. განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიის მიზანია სტრატეგიული პარტნიორობა გაუწიოს საქართველოს თვითუზრუნველყოფის, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და მავნე ზეგავლენისადმი მედეგობის მისაღწევად.

სტრატეგია შედგენილია იმდაგვარად, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს სტრატეგიულ წინსვლას თვითუზრუნველყოფისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. ახალი სტრატეგიის განხორციელების პროცესში, USAID საქართველოსთან ურთიერთობის სტრატეგიულ, თვისებრივ ტრანსფორმაციას მოახდენს. ეს გულისხმობს ურთიერთობის განვითარებას ქვეყანასთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან და არა როგორც საერთაშორისო დახმარების მიმღებ სახელმწიფოსთან. ამგვარი ურთიერთობა გახდება საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან, თვითუზრუნველყოფასთან, მავნე ზეგავლენის შემცირე-ბასთან და სტრატეგიულ რეფორმებთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტის საფუძველი. განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგია ეფუძნება საქართველოს თვითუზრუნველყოფის 2020 ფისკალური წლის გზამკვლევის ისეთ ქვეკატეგორიებში ასახულ მიღწევებს, როგორიცაა „ეკონომიკური პოლიტიკა“, „სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებ-ლობები“ და „მოქალაქეთა შესაძლებლობები“. ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შემუ-შავებული USAID-ის სტრატეგია დაეხმარება ქვეყანას აღმოფხვრას ხარვეზები, რომლებიც გამოვლინდა შემდეგ ქვე-კატეგორიებში: ,,მთავრობის შესაძლებლობები“, ,,ინკლუზიური განვითარება“ და ,,ღია და ანგარიშვალდებული მმართველობა“. ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს მიღწეული პროგრესი, განახორციელოს სტრატეგიული რეფორმები, თავიდან აიცილოს დემოკრატიული განვითარების შესაძლო რეგრესი და ანაგარიში გაუწიოს იმ გეოპოლიტიკურ გარემოს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას განაპირობებს.

წინამდებარე სტრატეგიაში ასახულია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების, სახელმწიფო დეპარტამენტის და USAID-ის ერთობლივი სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტები და სააგენტოს ის ამოცანები, რომლებიც უკავშირდება კრემლის მავნე გავლენასთან (CMKI) ბრძოლას, პარტნიორული ურთიერთობების ახლებური მიდგომის გამომუშავებას (RDR) და კერძო სექტორის ჩართულობას (PSE). ეს პრიორიტეტები თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის ევროკავშირში გაერთიანების გრძელვადიან მიზანთან. საქართველო ე.წ. ,,ფრონტისპირა სახელმწიფოა“, სადაც აშშ-ს საგარეო დახმარება, რომელსაც USAID გაუწევს ადმინისტრირებას, ერთგვარი კატალიზატორის ფუნქციას შეასრულებს რეგიონში მშვიდო-ბისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. მნიშვნელოვანი გამოწვევების დაძლევის და შესაძლო რეგრესის თავიდან ასაცილებლად, ანგარიშვალდებულებისა და მედეგობის ზრდასთან დაკავშირებული პრიორიტეტული თემები სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპზე აისახება. USAID-ის მიერ განხორციელებული პროგრამები ხელს შეუწყობს

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას, დაიცავს ქვეყანას მავნე ზეგავლენისაგან და დაეხმარება საქართველოს მოქალაქეებს ისარგებლონ გაუმჯობესებული მმართველობით, კანონის უზენაესობით და დასაქმების შესაძლებლობებით. ეს ის სფეროებია, სადაც სააგენტოს ინვესტიციები ყველაზე დიდ შედეგს მოიტანს. მისიის მუშაობა დაეფუძნება ადგილობრივ ორგანიზაციებთან პარტნიორულ ურთიერთობებს (რომლებიც, თავის მხრივ, სტარტეგიაში აღწერილი სამ საფეხურიანი სისტემის მიხედვით ჩამოყალიბდება), მჭიდრო უწყებათაშორის თანამშრომლობას, ასევე ევროკავშირთან და სხვა დონორებთან კოორდინირებულ ქმედებას.

DO 1: მავნე ზეგავლენისადმი გაზრდილი მედეგობა.

მისიის ჰიპოთეზა *(რომელიც DO 1-სა და მის მისაღწევად აუცილებელ წინაპირობებს შორის ურთიერთკავშირს ასახავს):* ***თუ*** გაიზრდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა, ***თუ*** შემცირდება ქვეყნის ეკონომიკაზე მავნე ზეგავლენა, ***თუ*** გამყარდება ინფრასტრუქტურის დაუცველი სექტორების კიბერ-უსაფრთხოება და ***თუ*** შემცირდება მიზანმიმართული დეზინფორმაციის ზეგავლენა, ***მაშინ***, გამყარდება საქართველოს მავნე ზეგავლენისადმი მედეგობაც.

USAID საქართველოს მთავრობასთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადადის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანას გაუმკლავდეს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და არაპროგნოზირებად საფრთხეს, რომელიც ემუქრება ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პერსპექტივას - ეს გახლავთ ქვეყნის დაუცველობა გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენის მიმართ. მისიისთვის ეს შედარებით ახალი პრიოტიტული მიმართულებაა, რომელიც საქართველოს მთავრობასთან პარტნიორული ურთიერთობების ახალ საფეხურზე გადასაყვანად ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენასთან გამკლავება ნიშნავს ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარებას და იმ გეოპოლიტიკური საფრთხეების აღმოფხვრას, რომლებიც აბრკოლებენ ქვეყნის პროგრესს თვითუზრუნველყოფისკენ მიმავალ გზაზე. წინამდებარე მიზანი (DO 1) მისიის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომლითაც შეფასდა საქართველოს თვითუზრუნველყოფის დონე და რომელშიც გამოიკვეთა მავნე ზეგავლენასთან ბრძოლის აუცილებლობა სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი პროგრამებისა და პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებური მიდგომის (RDR) პრინციპების გათვალისწინებით.

გასულ წლებში, კრემლიდან და სხვა წყაროებიდან მომდინარე აგრესიის გასანეი-ტრალებლად, USAID იყენებდა ცალკეულ, მიზნობრივ პროგრამებს ან სექტორებს. დღეისათვის კი, საქართველოს, ისე როგორც არასდროს, სჭირდება სახელმწიფოს მედეგობის განმტკიცება გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენასთან გასამკლავებლად, შესაძლო რეგრესის თავიდან ასაცილებლად და ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი ამოცანების გადასაჭრელად. სწორედ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა მისიამ

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ეს სპეციფიკური მიზანი (იგულისხმება DO 1), რომლის მისაღწევად მჭიდრო კოორდინაცია და მიზანმიმართული ქმედებაა საჭირო.

რუკა 1-ლი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები.

DO 1-ის ერთ-ერთი პრიორიტეტია ადგილობრივი ინსტიტუტების საზოგადოებრივი ჯგუფებისა თუ თემების მედეგობის გაძლიერება (განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობის, ენისა და რელიგიური კუთვნილებისა) გარეშე ფაქტორთა ზეგავლენის წინააღმდეგ, რაც შესაძლებელია მეტი ჩართულობით, სოციალურ ჯგუფებს შორის მეტი თანასწორობითა და მოქალაქეთა შესაძლებლობების გაუმჯობესებით. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მოსახლეობის 82% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა 41%-ს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ევროკავშირი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ღირებულებებს საფრთხეს შეუქმნის. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მსგავსი მოსაზრების მიზეზია ის, რომ რუსეთი ჯერ კიდევ ახერხებს საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებით მანიპულირებას, აწარმოებს დეზინფორმაციის კამპანიას და, ქვეყნის ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების დისკრედიტაციის მიზნით, აქტიურად იყენებს სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობებს, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტს.

რუსეთი აგრძელებს რეგიონში გავლენის გაძლიერებას და ძირს უთხრის საქართველოს მიერ წამოწყებული შერიგების მცდელობებს. არღვევს რა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, რუსეთი ინარჩუნებს სამხედრო ნაწილებს მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. გარდა ამისა, რუსეთის ახალი კანონმდებლობის მიხედვით აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხობის სამსახურები

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

რუსეთის უსაფრთხოების სამსახურებს უნდა შეუერთდეს. რუსეთი აგრძელებს ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესსაც და, ამ მიზნით, ოკუპირებულ და თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის არსებული ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ გაჰყავს მავრთულხლართები, თხრილები და ამონტაჟებს ტრაფარეტებს, კამერებსა და სათვალთვალო კოშკებს. ამის შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა ფაქტობრივად მოწყვეტილია ნათესავებისგან და ხელი აღარ მიუწვდება საკუთარ ქონებაზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურასა და შემოსავლის წყაროებზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ისინი ელემენტარული უფლებებით ვერ სარგებლობენ და ხშირად დგებიან არჩევანის წინაშე - გაწყვიტონ კავშირი საქართველოსთან ან მიატოვონ საკუთარი სახლ-კარი. ადგილობრივი ინსტიტუტებისა და თემების გაძლიერებით, საქართველო წინ წასწევს სამშვიდობო და შერიგების პროცესებს, ხოლო ადგილობრივ, დაზარალებულ მოსახლეობას შეუქმნის კრემლის პროპაგანდის წინააღმდეგ გამკლავებისა და საარსებო წყაროების შენარჩუნებისთვის აუცილებელ პირობებს.

DO 1-ის მიზანია ქვეყნის ეკონომიკაზე გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენის შემცირება, რაც შესაძლებელია ენერგოუსაფრთხოების გაზრდით და წამყვან სექტორებში მავნე ძალთა მიერ კონტროლირებად ბაზრებზე დამოკიდებულების შემცირებით. შესაბამისად, მისიის მიერ შემუშავებული პროგრამები ხელს შეუწყობენ ენერგოუსაფრთხოების გაზრდას, რისთვისაც ოპტიმალურად გამოიყენებენ დივერსიფიცირებულ ადგილობრივ ენერგორესურსებს, დაა-ჩქარებენ საქართველოს ინტეგრაციას ენერგეტიკის რეგიონულ საბაზრო სივრცეში (ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მოთხოვნების შესაბამისად), უზრუნველყოფენ ინვესტიციებისა და დაგეგმარების პროცესის მედეგობას კლიმატის ცვლილებების ზეგავლენისადმი და გააუმჯობესებენ ენერგოსექტორის მმართველობის გამჭირვალობასა და სტაბილურობას. ეს ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სექტორში მეტი დასავლური ინვესტიციების მოსაზიდად. USAID სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მწარმოებლებს ხელს შეუწყობს დააკმაყოფილონ ევროკავშირისა და აშშ-ს ექსპორტის ხარისხის სტანდარტები, ექსპორტის დივერსიფიკაციის მიზნით გაიტანონ პროდუქცია უფრო სტაბილურ, მაღალშემოსავლიან ბაზრებზე და შეამცირონ რუსეთის მიერ დაწესებული ან მოსალოდნელი სავაჭრო სანქციებით გამოწვეული დესტაბილიზაცია.

გარეშე მავნე ძალები საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების და დასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სავაჭრო და ენერგორესურსებს აქტიურად იყენებენ, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის იარაღს. მაგალითად, 2019 წლის ივლისში კრემლმა საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი ავია მიმოსვლა აკრძალა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს აკძალვა სხვა არაფერი იყო, თუ არა საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ გამიზნული პოლიტიკური კამპანიის ნაწილი. 2006 წელს კრემლმა აკრძალა ღვინის იმპორტი საქართველოდან და მოლდოვიდან, რამაც ქვეყნებს შორის დიპლომატიური კონფლიქტი გამოიწვია. 2013 წელს რუსეთის მომხმარებელთა დაცვის სააგენტომ,

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

„როსპოტრებნადზორმა“, რუსეთის ბაზარზე შვიდი ქართული კომპანიის მიერ წარმოებული 28 სახეობის ალკოჰოლური სასმელის შეტანა აკრძალა იმ მოტივით, რომ აღნიშნული პროდუქცია ხარისხის სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. თუმცა დაუსაბუთებელი აღმოჩნდა ბრალდება, რომ აკრძლული პროდუქცია ჯანმრთელობისთვის იყო საზიანო. ამ ფონზე რუსეთი აგრძელებდა ინტენსიურ ზეწოლას საქართველოზე, მოლდოვასა და უკრაინაზე, რაც განპირობებული იყო ევროკავშირსა და ამ სამ ქვეყანას შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღის მოახლოებით. 2006 წლის იანვარში, საქართველოს ჩრდილოეთით, რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ გაზსადენზე მომხდარმა აფეთქებებმა ქვეყანაში გაზმომარაგების შეწყვეტა გამოიწვია. აღნიშნული ინციდენტი რამდენიმე კილომეტრის დაშორებით არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე განხორციელებულ საბოტაჟს დაემთხვა, რომლის შედეგადაც საქართველოს დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. საქართველოს მთავრობამ აფეთქებების ინსცენირებაში კრემლი დაადანაშულა, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, რათა საქართველოს მილსადენები რუსეთის სახელმწიფო, მონო-პოლისტური კომპანია ,,გაზპრომისთვის“ იძულებით დაეთმო.

საქართველოში თავისი ეკონომიკური ზეგავლენის გაძლიერებას ჩინეთიც აქტიურად ცდილობს, რასაც 2016 წელს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელმოწერილი ხელშეკ-რულებაც ადასტურებს. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, ჩინეთი აფართოებს ინვესტიციებს საქართველოში და, აბრეშუმის გზის სავაჭრო მარშრუტის აღსადგენად, აღრმავებს თანამშრომლობას „ერთი გზის ერთი სარტყელი“[6] ინიციატივის ფარგლებში. ენერგოსექტორი ჩინური კაპიტალის ინვესტიციებიდან დიდ სარგებელს იღებს, რაც ქვეყანას დამატებითი მავნე ზეგავლენის საფრთხეს უქმნის.

DO 1-ის მისაღწევად შექმნილი, კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესებაზე გათვლილი პროგრამები სააგენტოს ახლადშემუშავებულ ციფრულ სტრატეგიას დაეფუძნება. საქართველო ხშირად ყოფილა აგრესიული, მასობრივი კიბერთავდასხმების მსხვერპლი, რომელთა შედეგადაც მთავრობის, სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ორგანიზაციების, მედია საშუალებების, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების კომპიუტერული სისტემები დაზარალდა. არანაკლები ზიანი მოაქვთ შედარებით „რბილი“ პროპაგანდისტული მეთოდებით მოქმედ საინფორმაციო არხებს, ფონდებს, სოციალურ მედიაში გააქტიურებულ ტროლებსა და ბოტებს, რომლებიც რუსეთის საინფორმაციო კამპანიის ნაწილს წარმოადგენენ. 2008 წლის შემდეგ, ყველაზე დიდი კიბერშეტევა საქართველოზე 2019 წლის 28 ოქტომბერს განხორციელდა. რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი

[6]2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა წარმოადგინა „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა“, რომელიც არის „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა“ და „21- ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ შემოკლებული სახელწოდება და აღნიშნულმა ინიციატივამ მოიპოვა 150- ზე მეტი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. იგი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ვაჭრობას ბარიერების გარეშე, ერთობლივ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ფინანსურ ინტეგრაციას, პოლიტიკურ კოორდინაციასა და ხალხთაშორისი კავშირების გაძლიერებას.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულმა თავდასხმამ საქართველოს მთავ-რობის და კერძო სექტორის 15,000 ვებგვერდის (მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური გვერდის) და ქვეყნის სულ მცირე ორი მთავარი სატელევიზიო არხის მუშაობა შეაფერხა.

გარდა არსებული და შესაძლო კიბერთავდასხმების საშიშროებისა, ადგილობრივ ინსტიტუტებსა და უწყებებს ფაქტობრივად არ გააჩნიათ თავდაცვის მექანიზმები, რაც განპირობებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალის არასათანადო კვალიფიკაციით, მოძველებული და არალიცენზირებული პროგრამების გამოყენებით და ე.წ. ,,კიბერჰიგიენის"[7] წესების დაუცველობით. აშშ-ს მთავრობის შეფასებები მიანიშნებს საქართველოს დაუცველობაზე გარეშე მავნე წყაროებიდან მომდინარე კიბერშეტევების მიმართ. ეს გარემოება კი, დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის კიბერუსაფრთხოების გაძლიერების საჭიროებას, რაც ნაკარნახევია საკვანძო ინფრა-სტრუქტურის დაზიანებისა და ქვეყნის ჰიბრიდული ომისგან დაცვის აუცილებლობით.

USAID-ის პროგრამები იმ არხებისა და ორგანიზაციების საქმიანობას გასცემენ პასუხს, რომლებსაც კრემლი აქტიურად იყენებს დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის შესუსტების, ანტი-ლიბერალური პროპაგანდის გავრცელებისა და მოსახლეობაში პროდასავლური განწყობის დისკრედიტაციის მიზნით. იგულისხმება ის ქართული ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც გაუცნობიერებლად ან გამიზნულად ან მხარს უჭერენ კრემლის პოლიტიკას, რუსეთს წარმოაჩენენ როგორც ქვეყნისთვის შეუცვლელ „ძმას", რომელთანაც საქართველოს საერთო ისტორია და რწმენა აკავშირებს, ხოლო დასავლეთისგან ქმნიან ქართული იდენტობისათვის საშიში მტრის ხატს.

საქართველოს მედეგობის გაძლიერების მიზნით, USAID ეყრდნობა პარტნიორული ურთიერთობებისადმი ახლებური მიდგომის ინიციატივას (RDR) და თვითუზრუნ-ველყოფაზე ორიენტირებულ პრინციპებს, რაც გულისხმობს ადგილობრივ ინსტიტუტებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს ქვეყანას კიდევ უფრო გაუმჯობესოს 2020 ფისკლაური წლის გზამკვლევის რეიტინგი შემდეგი ინდიკატორების შესაბამისად: „ვაჭრობის თავისუფლება" (0.89 ქულა), "სამოქალაქო საზოგადოების და მედიის ეფექტურობა" (0.93 ქულა) და „სოციალური ჯგუფის თანასწორობა" (0.82 ქულა). პარალელურად, საქართველო შეძლებს გაუმჯობესოს შედარებით დაბალი მაჩვენებლები „ექსპორტის კომპლექსურობის" (0.46 ქულა) და „განათლების ხარისხის" (0.65 ქულა) ინდიკატორების მიხედვით. მისიას გაცნობიერებული აქვს, რომ DO 1-ის და შესაბამისი შუალედური შედეგების მისაღწევად აუცილებელია დროული, კოორდინირებული და სიმბიოზურ ურთიერთკავშირზე დამყარებული პროგრამების შექმნა. ამგვარი პროგრამები შეიძლება

[7] ,,კიბერჰიგიენა", პირადი ჰიგიენის მსგავსად. გულისხმობს კომპიტერულ მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხო გამოყენებისთვის დადგენილი წესების დაცვას.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

მოიცავდეს ისეთ სფეროებს და პარტნიორული ურთიერთობების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: სამთავრობო უწყებების ინსტიტუციური გაძლიერება, გლობალური განვითარების ალიანსის (GDA) და კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობის (PPP) მექანიზმების გამოყენება ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომ-ლობისთვის, ერთობლივ დიზაინზე გათვლილი და ინოვაციური იდეების მოსაზიდი ,,სააგენტოს ზოგადი განაცხადის" (Broad Agency Announcement)[8] მიერ შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება (მაგალითად, საქართველოს სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით ენერგოპროგრამის ერთობლივი დიზაინის შექმნა) და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის ე.წ. ,,იდეების ინკუბატორების" შექმნა.

2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი სამშვიდობო ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ", რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ხალხთაშორისი (P2P) ურთიერთობების გაღრმავებას, საქართველოს ოკუპირებულ და თბილისის ადმინისტრირების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე სავაჭრო და ბიზნესურთიერთობების წახალისებას და აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. სამშვიდობო ინიციატივა USAID-ს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს იმისათვის, რომ დაეხმაროს საქართველოს მთავრობას გაზარდოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ჩართულობა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პროგრამებში და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის შერიგების პროცესში. მისია აქტიურად ითანამშრომლებს როგორც აღნიშნულ მოსახლეობასთან, ასევე საქართველოს მთავრობასთან, რათა შეამციროს ამ ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე, უკეთ გააცნოს აფხაზეთის მოსახელობას დასავლური ღირებულებები და სისტემები და შექმნას ხალხთაშორისი ურთიერთობების და შერიგებაზე გამიზნული ტრანსფორმაციული მექანიზ-მები. USAID-ის დახმარება გააძლიერებს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას გააღრმაოს ურთიერთობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან და ქმედითი ნაბიჯები გადადგას სამშვიდობო ინიციატივის განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ DO 1 თანხვედრშია სააგენტოს კრემლის მავნე ზეგავლენასთან ბრძოლის სტრატეგიასთან (CMKI). ისეთი პარტნიორული ურთიერთობების დასამყარებლად, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს სტრატეგიულ წინსვლას და განამტკიცებს გარეშე ძალთა მავნე ზეგავლენისადმი ქვეყნის მედეგობას, მისია აქტიურად ითანამშრომლებს ევროკავშირთან, ბრიტანეთის, გერმანიის, ავსტრიის, შვედეთის და შვეიცარიის საელჩოებთან. ამგვარი თანამშრომლობა წაადგება საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის პრაქტიკულ და ეფექტურ განხორციელებასაც. მისია გამოიყენებს აშშ მთავრობის ავტორიტეტს, რათა ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და ენერგოუსაფრთხოების გაზრდის მიზნით ხელი შეუწყოს სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას. აღნიშნული თანამშრომლობა შექმნის მყარ საფუძველს კერძო და სამოქალაქო სექტორების მიერ

[8] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ამ გვერდზე: https://www.usaid.gov/partnership-opportunities/respond-solicitation/broad-agency-announcements

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

კიბერუსაფრთხოების და კრემლის მავნე ზეგავლენასთან ბრძოლის სტრატეგიის (CMKI) ინოვაციური და ეფექტური მექანიზმების ერთობლივად შესამუშავებლად. მნიშვნელოვანია, რომ მისია მონიტორინგს გაუწევს საქართველოში არა მხოლოდ კრემლის, არამედ ჩინეთის გავლენის ზრდასაც. ამ პროცესების კვალდაკვალ და შესაბამისად, მისია მოახდენს საკომუნიკაციო სტრატეგიისა და პროგრამული საქმიანობის კორექტირებას.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სფეროებში სხვა დონორებიც აქტიურად არიან ჩართული. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიურო (BPRM) გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს (UNHCR) ყველაზე დიდი მოცულობის დახმარებას უწევს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, გაეროს გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების წარმომადგენლობა (UN Women) და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი"[9] ასევე ახორციელებენ პროგ-რამებს ოკუპირებულ და მათ მოსაზღვრე ტერიტორიებზე. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გასცემს გრანტებს ისეთი ინიციატივების განსახორციელებლად, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალური თანასწორობის, კონსოლიდაციისა და ურთიერთნდობის ზრდას, ისევე როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში. გარდა ამისა, ყოველ წელს, გაერთიანებული სამეფო და სხვა ევროპელი დონორები მცირემასშტაბიან პროექტებსაც აფინანსებენ აფხაზეთში. გაეროს თაოსნობით შეიქმნა პროექტების კოორდინაციის მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც იმართება დონორთა კვარტალური შეხვედრები მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით. დასასრულ, აშშ-ს მთავრობა რეგულარულად იღებს მონაწილეობას შვედეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ დონორთა საკოორდინაციო შეხვედრებში, სადაც პროექტების განხორციე-ლებისა და მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ.

DO 1-თან დაკავშირებული ვარაუდებისა და რისკების ანალიზი

ვარაუდების ანალიზი:

- საქართველოს მთავრობა:
    - შეინარჩუნებს განვითარების ურყევ, დასავლურ ორიენტაციას, რაც შექმნის ხელსაყრელ პირობებს ქვეყნის განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიის მიზნის მისაღწევად და საქართველოს მოსახლეობასა და ინსტიტუტებთან პარტნიორობის ახალ საფეხურზე გადასასვლელად.
    - გააგრძელებს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

[9] **არბაითერ სამარიტერ ბუნდმა (ASB)** საქართველოში საქმიანობა 1992 წელს დაიწყო. ASB-ს მთავარი მიზანი იყო ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. 2010 წელს ASB დაბრუნდა საქართველოში, ამჯერად უკვე იმ აქტივობების განსახორციელებლად, რომელიც გაზრდიდა კატასტროფის რისკების შემცირების საშუალებას. სოციალური სერვისების განვითარება, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება და საქართველოს სამარიტელთა ასოციაციის გაძლიერება მის მთავარ ამოცანებად იქცა. დღეისათვის ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს, რომელიც ყველა ჩამოთვლილ სფეროს ეხება, თანამშრომლობს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

    - განაგრძობს სამშვიდობო ინიციატივის - "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" - მხარდაჭერას და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების განვითარებას.
    - განაგრძობს დასავლეთთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასა და დასავლური ინვესტიციების მოზიდვას.
    - უზრუნველყოფს წამყვანი ინსტიტუტებისა და სისტემების კიბერუსა-ფრთხოებას.
- ადმინისტრაციული გამყოფი ხაზები:
    - რუსეთი არ გამოიყენებს სამხედრო ძალას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გადმოწევის მიზნით.
    - ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა კიდევ უფრო არ გართულდება.
    - ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებთან პროგრამების განსახორციელებისთვის აუცილებელი სტაბილური ვითარება შენარჩუნდება.
- საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით პრიორიტეტული პარტნიორი ქვეყნის სტატუსს შეინარჩუნებს.
- საქართველო სტრატეგიულ ენერგოაქტივებს მავნე ზეგავლენის მქონე ქვეყნებს არ მიჰყიდის.
- ჩინეთის მონაწილეობა ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებაში არ გაიზრდება.
- კომპანიები საჭირო ინვესტიციებს გაიღებენ ევროკავშირის და დასავლეთის ბაზრების მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

რისკების ანალიზი:

- ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ პროგრამებზე შესაძლოა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები დაწესდეს.
- რუსეთს შეუძლია სავაჭრო ემბარგო ქვეყნის წამყვან სექტორებზე გაავრცელოს.
- შესაძლოა გაიზარდოს მავნე ზეგავლენის მქონე ქვეყნების როლი ენერგოსექტორის ინფრასტუქტურის განვითარებაში.
- ძალაუფლების შემდგომი კონსოლიდაცია და სამოქალაქო აქტივიზმისთვის სამოქმედო სივრცის შეზღუდვა შერიგების პროცესსა და მცდელობას დააზარალებს.
- ხალხთაშორისი ურთიერთობების ხელშემწყობ პროგრამაში მონაწილეებისა და ქართულ ბაზარზე მოქმედი მოვაჭრეების უსაფრთხოება შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.
- შესაძლებელია, სასაზღვრო გამშვები პუნქტები დაიხუროს.

შუალედური შედეგების (IR) აღწერა

IR 1.1 ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა: რუსეთი ინარჩუნებს სამხედრო შენაერთებს აფხაზეთისა და სამხრეთ

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ხოლო ადგილობრივი დე ფაქტო ხელისუფალთა მიერ მიღებული კანონების თანახმად, უნდა მოხდეს მათი უსაფრთხოების სამსახურების რუსეთის სამხედრო ძალებთან შერწყმა. რუსეთის სამხედრო ჩარევამ ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს დანარჩენ, თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიებს ფაქტობრივად მოწყვიტა და ისეთი ნარატივის შექმნას შეუწყო ხელი, რომლის მიხედვითაც ოკუპირებულ ტერიტორიებს მტრისგან, ანუ საქართველოსგან დაცვა სჭირდებათ. მსგავსი ქმედებები ხელს უშლის საქართველოს მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს, უგულებელყოფს ადამიანის უფლებებს და ართმევს მათ ჰუმანიტარული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას. ყოველივე ეს ზრდის მოსახლეობის ამ ნაწილის რუსეთზე დამოკიდებულებას და მათ იზოლაციას არა მხოლოდ საქართველოსგან, არამედ მთელი მსოფლიოსგან. ზემოაღნიშნული ნარატივის საპასუხოდ, USAID სტრატეგიულად ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასთან, რათა გაიზარდოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა და გაუმჯობესდეს ხალხთაშორისი ურთიერთობები. ეს იქნება იმის დასტური, რომ საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის ინტერესებით ხელმძღვანელობენ. უფრო კონკრეტულად კი, კიდევ უფრო მეტი მოქალაქე ჩაერთვება სხვადასხვა ღონისძიებებში, ტრენინგებში და აქტივობებში, რაც ხელს შეუწყობს სამშვიდობო და შერიგების პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მედეგობის ინდექსს, რომელიც ასახავს მოსახლეობის მიერ შოკური მდგომარეობის დროული დაძლევის უნარს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა იძლევა პროაქტიული ინიციატივების შექმნის შესაძლებლობასაც. IR 1.1-ის მისაღწევად განხორციელებული პროექტები ბიძგს მისცემენ პროდუქტიული ეკონომიკური საქმიანობის და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას სამიზნე მოსახლეობასა და თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა შორის, რასაც უნდა მოჰყვეს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა.

IR 1.1-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: მსოფლიო ბანკის 2018 წლის "ქვეყნის სისტემური დიაგნოსტიკა", USAID-ის 2018 წლის კვლევა „ახალგაზრდების მდგომარეობის შესახებ", USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის დიზაინისთვის 2017 წელს გამართული კონსულტაციები და პროგრამა „ზრდას" მიერ 2019 წელს ჩატარებული შუალედური შედეგების შეფასების მონაცემები.

IR 1.2 ქვეყნის ეკონომიკაზე მავნე ზეგავლენის შემცირება: მისიამ სტრატეგიის ეს ნაწილი საქართველოში ეკონომიკური საფრთხეებისა და მავნე ზეგავლენის შემცირების მიზნით შექმნა. დასახული შედეგის მისაღწევად აუცილებელია ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესება და ეკონომიკის წამყვანი სექტორების მავნე გარეშე ძალების მიერ კონტროლირებულ

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ბაზრებზე დამოკიდებულების შემცირება. პროგრამები ორიენტირებული იქნება ძირითადად იმაზე, თუ როგორ შეძლებს USAID, საქართველოს მთავრობასთან და სხვა ინსტიტუტებთან ერთად, ენერგოსექტორის პოტენციალის გამოყენებას, რისთვისაც აუცილებელი იქნება კერძო სექტორიდან ინვესტიციების მოზიდვა სუფთა, ბუნებრივი რესურსებით მიღებული და კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგი ენერგიის გამოსამუშავებლად. ეს ნაბიჯები ხელს შეუწყობს ადგილობრივად წარმოებული ენერგიის მოცულობის გაზრდას, წაახალისებს ინვესტიციებს ისეთ მაღალტექნოლოგიურ დარგებში, როგორიცაა ადგილობრივი რესურსებით განახლებადი ენერგიის წარმოება, შეამცირებს მავნე ზეგავლენის მქონე ქვეყნების იმპორტზე დამოკიდებულებას და შექმნის ადგილობრივად წარმოებული ენერგიის კონკურენტულ ბაზრებზე გაყიდვის პირობებს. გარდა ამისა, USAID-ის დახმარებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების დივერსიფიკაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით, სტრატეგიული ტრანსფორმაცია ქვეყანას მისცემს იმის საშუალებას, რომ კონკურენცია გაუწიოს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების შედეგად ქვეყანაში შემოდინებულ, იაფფასიან პროდუქციას, წინ წასწიოს ვაჭრობისა და ინვესტიციების დივერსიფიკაციის პროცესი და ხელი შეუწყოს იმ მაღალშემოსავლიანი და მაღალი ღირებულების საექსპორტო ბაზრების ათვისებას, რომლებიც არ არიან რუსული ზეგავლენის ქვეშ.

IR 1.2-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: მსოფლიო ბანკის 2018 წლის „ქვეყნის სისტემური დიაგნოსტიკა“, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) 2019 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის დიზაინისთვის 2017 წელს გამართული კონსულტაციები. დამატებით რესურსებად გამოყენებულ იქნა: 2016 წლის კანონპროექტი „ემისიების განვითარების სტარატეგია საქართველოსთვის“ და მისიის 2017 წლის „საბაზრო და სექტორული შეფასება“, 2019 წლის „ენერგოუსაფრთხოების შეფასება“ და 2019 წლის „ენერგოსექტორში არსებული ხარვეზების შეფასება“.

IR 1.3 ინფრასტრუქტურის დაუცველი სექტორების კიბერუსაფრთხოების გამყარება: გლობალურად, სხვადასხვა ეკონომიკური სექტორები, მათ შორის ენერგეტიკა, გაზრდილი კიბერშეტევების საშიშროების წინაშე დგას. საყურადღებოა, რომ კიბერ-უსაფრთხოებაზე მომუშავე ექსპერტები ამ ტენდენციის შემსუბუქებას ახლო მომავალში არ ელიან. განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვა აქვს ელექტრონულ ინფრასტრუქტურას ისეთი საკვანძო სექტორების დაკავშირებაში, როგორებიცაა მრეწველობა, კომუნიკაციები, ტრანსპორტი და ფინანსები. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ უფრო მეტი დარგი და სისტემა აღმოჩნდება ზემოაღნიშნული საშიშროებისგან დაუცველი. ამ საფრთხის გათვალისწინებით, USAID ხელს შეუწყობს საქართველოს ჩართვას აშშ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებლების და კომუნალური მომსახურების კომპანიების სამუშაო ჯგუფებში. ამგვარი თანამშრომლობა აუცილებელია რეგიონში არსებულ, დასაბუთებულ კიბერსაფრთხეებთან გასამკლავებლად, რომლის უკანაც კრემლი

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

დგას. როგორც უკვე ითქვა, ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, არ უნდა გამოვრიცხოთ ახალი საფრთხეების გაჩენის შესაძლებლობაც. შესაბამისად, მისია ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასთან, რათა გაზარდოს ენერგოსექტორის და მომიჯნავე დარგების კიბერუსაფრთხოება და შესაბამის ორგანიზაციებში კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაამკვიდროს ქცევისა და ოპერირების აუცილებელი წესები. უფრო მეტიც, რაც უფრო უკეთ და კვალიფიციურად შეძლებენ მთავრობის წარმომადგენლები კიბერუსაფრთხოების წესების დაცვას, მით უფრო გაიზრდება ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების კიბერუსაფრთხოებაც. მისია, სააგენტოს ახლად დამტკიცებულ ციფრულ სტრატეგიაზე დაყრდნობით, შეიმუშავებს პროექტებს კიბერუსაფრთხოების გაზრდისა და ენერგეტიკის სექტორში არსებული კიბერსაფრთხეების დაძლევის მიზნით.

IR 1.3-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემის 2018 წლის „კიბერ-უსაფრთხოების საფრთხის და მასთან დაკავშირებული დაუცველობის“ ანალიზი და USAID-ის 2018 წლის კვლევა: ,,მმართველობა ეკონომიკური ზრდისთვის და ბლოკჩეინის ტექნო-ლოგია“.

IR 1.4 მიზანმიმართული დეზინფორმაციის ზეგავლენის შემცირება: სტრატეგიის ამ ნაწილში ყურადღება ეთმობა იმ ორგანიზაციებისა და პირების საქმიანობას (მაგ. მედია, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები და სამღვდელოება), რომელსაც კრემლი იყენებს დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის შელახვის, ანტი-ლიბერალური პროპაგანდის გავრცელებისა და საქართველოს მოსახლეობაში პროდასავლური მისწრაფებების დისკრედიტაციის მიზნით. ამასთანავე, კრემლი ცდილობს დასავლეთი საქართველოს იდენტობის მტრად, ხოლო რუსეთი კი, „მომმე“ სახელმწიფოდ გამოიყვანოს, რომელთანაც საქართველოს საერთო ისტორია და რწმენა აკავშირებს. IR 1.4-თან დაკავ-შირებული პროგრამები გათვლილი იქნება საქართველოს იმ მოსახლეობაზე, რომელთა ინფორმაციის ძირითადი წყარო რუსული ტელევიზიებია და მათზე, ვინც ქვეყნის ევროკავშირზე ორიენტირებულ მისწრაფებებს მხარს უჭერს ან ეწინააღმდეგება. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობები პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ გაცილებით ადვილად ექცევიან, რადგანაც ხელი არ მიუწვდებათ ან არ იყენებენ ქართულენოვან მედია საშუალებებსა და წყაროებს. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2018 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გამოკითხულთა 36% იყენებს ტელევიზიას, ხოლო 10% - ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს, რაც სხვა რეგიონების შესაბამის მაჩვენებლებზე გაცილებით დაბალია.

USAID-ის მხარდაჭერით გაუმჯობესდება ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დეზინფორმაციის იდენტიფიკაციის და საპასუხო საკომუნიკაციო საქმიანობის უნარებიც. გაიზრდება ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოცულობაც, რომელიც საქართველოს

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს ადეკვატურად ასახავს. დეზინფორმაციის კამპანიასთან ბრძოლის მიზნით, განხორციელდება ისეთი აქტივობები და შეიქმნება ისეთი ინსტრუმენ-ტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და მასთან დაკავშირებული ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას. მაგალითად, შეიქმნება ე.წ. ,,იდეების ინკუბატორი", რომელიც გამოცდის დეზინფორმაციასთან ბრძოლის ახლებურ, ინოვაციურ მეთოდებს, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შესაფასებლად გამოიყენებს ზედმიწევნით შემუშავებულ მეთოდოლოგიას და შექმნის პირობებს წარმატებული პროექტების უფრო ფართო მასშტაბით განსახორციელებლად.

IR 1.4-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: ანტი-დასავლური დისკურსის ბარომეტრი; საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტი „რესპუბლიკა 100"[10], საქართველოს გაეროს ასოციაციის „ანტი-დასავლური პროპაგანდის" ანგარიში, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტის ანგარიში: "რუსულ დეზინფორმაციაზე რეაგირება: საქათველოს მაგალითი", კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) 2018 წლის ანგარიში: ,,ანტიდასავლური პროპაგანდიის წინააღმდეგ ბრძოლა, სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის სტრატეგია" და მედიის განვითარების ფონდის 2019 წლის ანგარიში: „ტროლების ფაბრიკა TBC-ის, არასამთავრობების და მედიის წინააღმდეგ".

DO 2: მოქალაქისადმი ანგარიშვალდებული მმართველობის გაძლიერება დემოკრატიული მიღწევების განსამტკიცებლად.

მისიის ჰიპოთეზა *(რომელიც DO 2-სა და მის მისაღწევად აუცილებელ წინაპირობებს შორის ურთიერთკავშირს ასახავს):* ***თუ*** გაიზრდება საქართველოს მოქალაქეების აქტივიზმი, ***თუ*** გაიზრდება ქვეყნის სამთავრობო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულება და სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეებზე ხელმისაწვდომობა; და ***თუ*** გაუმჯობესდება ქვეყანაში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებისა და სისტემების ხელ-მისაწვდომობა, ეფექტურობა და კონტროლი, ***მაშინ***, გაიზრდება მმართველობის სისტემის მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულება და კიდევ უფრო გამყარდება ქვეყნის დემოკრა-ტიული მიღწევები.

სასამართლო და საარჩევნო რეფორმები, საპარლამენტო ზედამხედველობა და დეცენ-ტრალიზაცია საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების, ანგარიშ-ვალდებულებისა და ეფექტურობის ქვაკუთხედია. მსგავს რეფორმებს წარმატება ახლავს მაშინ, როდესაც ისინი მძლავრი საზოგადოებრივი მხარდაჭერითა და დემოკრატიული სისტემების წიაღში წარმოშობილი კონსტრუქციული კრიტიკით საზრდოობენ. მათი განხორ-ციელებისა და აღებული კურსის შესანარჩუნებლად, საქართველოს სჭირდება როგორც

[10] საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტი „ რესპუბლიკა 100" (2001 წლიდან მუშაობს საიმედო ამბების გაშუქებაზე საქართველოს შესახებ და ეხმარება მკითხველებს დაინახონ მოვლენები ისტორიულ კონტექსტში)

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ტექნიკური, ასევე დიპლომატიური მხარდაჭერა, რათა შეძლოს კონტროლისა და ბალანსის[11] (checks and balances) მექანიზმების ეფექტურად გამოყენება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში USAID ძირითად აქცენტს იმ ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმების განხორციელებაზე აკეთებდა, რომელთა შედეგებიც გზამკვლევის „მთავრობის ეფექტურობის“ ინდიკატორის მიხედვით იზომება (0.65 ქულა). რაც შეეხება „სოციალური ჯგუფების თანასწორობის“ ინდიკატორს, აქ, ქვეყანამ რეიტინგი 0.73 ქულიდან 0.82-მდე გააუმჯობესა, თუმცა დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტის, „დემოკრატიის ნაირსახეობანი“ (Varieties for Democracy), 2019 წლის ანგარიშის მიხედვით: „[დემოკრატიზაციისკენ მიმავალი] ქვეყნების უმრავლესობას, ჯერ კიდევ, ბევრი ისეთი ამოცანა აქვს გადასაჭრელი, როგორიცაა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე ჰორიზონტალური შეზღუდვების დაწესება[12] და უთანასწორობის მაღალი დონე, რომელიც ამ ქვეყნებს რეგრესის რისკის საფრთხეს უქმნის“. ზემოაღნიშნული ანგარიში მიუთითებს იმაზეც, რომ 2008 წლიდან 2018 წლამდე, საქართველომ სასამართლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით უმნიშვნელო პროგრესს მიაღწია, საზოგადოების პოლარიზება კი, ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად რჩება. მართალია, საქართველო კანონის უზენაესობის ინდექსში 113 ქვეყანას შორის 38-ე ადგილს იკავებს (რის გამოც, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის მოწინავე ქვეყანად ითვლება), არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2016 წლის შემდეგ ქვეყანა აღნიშნულ ინდექსში ოთხი ადგილით ჩამოქვეითდა.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ არაერთი წარმატებული რეფორმა განახორციელა, ქართული დემოკრატია ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და შესაძლო რეგრესის სიმპტომებსაც ავლენს. ფაქტია, რომ საქართველოს საჯარო მმართველობის ინსტიტუტები სამაგალითოა რეგიონში, თუმცა მცირდება მოქალაქეების ჩართულობა და მათი ნდობა დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ზრდის შესაძლო რეგრესის რისკს. ამის დასტურია ისიც, რომ ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს „ღია მმართველობის“ ინდიკატორის მაჩვენებლები არასტაბილური და, მეტწილად, გაუარესებულია. დემოკრატიული მიღწევების შენარჩუნებისა და მათი გამყარების მიზნით, აუცილებელია მოქალაქეების პოლიტიკურ და საკანონმდებლო პროცესებში ჩართვა და ამ პროცესებზე ზედამხედველობის მექანიზმების შემოღება.

ანალოგიურად, არც არასამთავრობო ორგანიზაციები სარგებლობენ დიდი ნდობით, რაზეც მიანიშნებს ის, რომ ამ სექტორისადმი მოსახლეობის მხოლოდ 27% გამოხატავს ნდობას. ბევრი მოქალაქე თვლის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი მიზანი არა საქართველოს მოსახლეობის დახმარება და სამსახური, არამედ დონორთა დაფინანსების

[11] მართვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება გადანაწილებულია ხელისუფლების სამ შტოზე, რომლებიც ერთმანეთის საქმიანობას აბალანსებენ და აკონტროლებენ.
[12] იგულისხმება საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვები.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

მოპოვება, რაც განაპირობებს მათ დამოკიდებულებას დონორ ორგანიზაციებზე. აქედან გამომდინარე, მისია შეეცდება, ერთი მხრივ, გაზარდოს საზოგადოების ნდობა არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიმართ და, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს თავად ამ ორგანიზაციებს, რომ უკეთ გამოხატონ და დაიცვან მოსახლეობის ინტერესები. USAID ითანამშრომლებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედია საშუალებებთან, რათა ქვეყანამ შეძლოს ანგარიშვალდებული მმართველობის მექანიზ-მების შემდგომი სრულყოფა (2020 წლის გზამკვლევის ,,სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ეფექტურობის" ინდიკატორის მიხედვით, საქართველოს 0.93 ქულა მიენიჭა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებლია). აღნიშნული თანამშრომლობა მოქალაქეებს ხელს შეუწყობს გააკონტროლონ ხელისუფლების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით შტოთა ქმედებები და აქტიურად ჩაერთონ დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობაში. USAID მხარს დაუჭერს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომელთა უმთავრეს მიზანს მოქალაქეთა ინტერესებისა და პრიორიტეტების დაცვა წარმოადგენს. მისიის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოს მოქალაქეები უკეთ შეძლებენ დემოკრატიულ სისტემაში საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გააზრებას და ხელისუფლებასთან ყველა დონეზე ურთიერთობების წარმოებისა და მართვის ფორმების შესწავლას. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების განვითარებასთან[13] ერთად, მისია გამოიყენებს მათი ადვოკატირებისა და ლობირების პოტენციალს და ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინტერესების დაცვის საქმეში. ამავე დროს, მისია არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს ადგილობრივი რესურსების მობილიზებისთვის აუცილებელ ისეთი ინიციატივებს, როგორებიცაა, მაგალითად, ე.წ. სოციალური მეწარმეობა,[14] კერძო სექტორთან პარტნიორობის გაძლიერება და მხარდამჭერთა რესურსების მართვა.[15] შესაბამისად, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობასთან თანამშრომლობა დაეხმრება საქართველოს აღმოფხვრას 2020 ფისკალური წლის გზამკვლევის ზოგიერთ ქვე-კატეგორიაში არსებული ხარვეზები, რომლებიც ქვეყნის თვით-უზრუნველყოფისკენ სვლას აფერხებენ. იგულიხმება შემდეგი ინდიკატორები: „ღია მთავრობა" (0.51 ქულა), ,,სოციალური ჯგუფების თანასწორობა" (0.82 ქულა) და ,,განათლების ხარისხი" (0.62 ქულა). ამგვარად, USAID-ის მხარდაჭერით, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივი ინსტიტუტების საქმიანობაში და მოითხოვონ შედეგზე ორიენტირებული, ანგარიშვალდებული და ღია მმართველობის პრინციპებზე დამყარებული პროცედურების შექმნა და დაცვა.

სამოქალაქო აქტივიზმის და სახელმწიფო სერვისებზე (მართლმსაჯულების სფეროს ჩათვლით) თანაბარი ხელმისაწვდომობის ზრდამ ხელი უნდა შეუწყოს ანგარიშვალდებულ

[13] იხ. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მდგრადობის 2018 წლის ინდექსი.

[14] სოციალური მეწარმეობა (social entrepreneurship) ნიშნავს ისეთი ბიზნესმოდელის შექმნას, რომლის მიზანია სოციალური, კულტურული ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა.

[15] მხარდამჭერთა რესურსების მართვა გულისხმობს ისეთი მექანიზმებისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებას, რომლებიც ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციებს უკეთ შეისწავლონ მხარდამჭერთა (ანუ წევრების, ბენეფიციარების, დონორი ორგანიზაციებისა და მოხალისეების) პრიორიტეტები და მათ მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის მატერიალური და არამატერიალური მხარდაჭერის პერსპექტივა.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

მმართველობაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების ზრდას და გააუმჯობესოს ხელისუფ-ლების მიერ აღნიშნული სერვისების მიწოდების ხარისხი. მისიას გათვითცნობიერებული აქვს, რომ, პარალელურად, აუცილებელია ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რათა ხელისუფლებამ საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლოს. მოქალაქეთა ჩართულობა გაიზრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აიწევს სამოქალაქო განათლების დონე და გაუმჯობესდება სხვადასხვა ფენების ქვეყნის დემოკრატიული მართვის პროცესში მონაწილეობის უნარი, ხოლო სოციალური აქტივიზმის ცნება გასცდება სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის ფარგლებს. მმართველობის სფეროში შესაძლო რეგრესის თავიდან აცილების მიზნით, USAID აქცენტს ფართო ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმებიდან (რომლებმაც ცენტრალური მთავრობის ეფექტიანობის გაზრდის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს) მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული მმართველობის იმ ფორმის მხარდაჭერაზე გადაიტანს, რომელიც უზრუნველყოფს სამთავრობო სტრუქტურების მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულებას ყველა დონეზე. მისია გააგრძელებს ცენტრა-ლური მთავრობის მხარდაჭერას, ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებას და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას მათი როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით.

ინკლუზიური განვითარება USAID-ის სტრატეგიის პრიორიტეტია, რომელიც გულის-ხმობს საზოგადოების მარგინალიზებული ფენების ჩართულობას, (მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტი ადამიანების და სხვა დაუცველი ჯგუფების) და იმ ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ აღნიშნული ჯგუფების წვდომა საჭირო სერვისებზე (მაგ. ხარისხიანი განათლების სფეროში) და მათი აქტიური ჩართულობა სამთავრობო უწყებების საქმიანობაში. განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიის გენდერული ანალიზის რეკომენდაციების თანახმად, მისიის მიერ დაფინანსებული პროექტები ხელს შეუწყობენ ქალთა მონაწილეობის გაზრდას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვ-რებაში, რადგანაც ქალთა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულობა, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულ მმართველობაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების შექმნამ სასურველი შედეგი გამოიღოს, USAID გააგრძელებს საქართველოს მთავრობის შესაძ-ლებლობების გაძლიერებას, რათა მან შექმნას ანგარიშვალდებულების ისეთი მექანიზმები, რომლებიც მოქალაქეთა პრიორიტეტულ საჭიროებებს დააკმაყოფილებს და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მოქალაქეთა და მათ წარმომადგენელთა კონტროლს უზრუნ-ველყოფს. გაზრდილი სამოქალაქო აქტიურობა, დემოკრატიული მმართველობის და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელ დაცვასთან ერთად, შეამცირებს მოქალაქესა და მთავრობას შორის არსებულ ნაპრალს, შექმნის სათანადო პირობებს საქართველოს მდგრადი, დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისთვის და ქვეყანას ამ პროცესში წამყვან როლს მიაკუთვნებს. ანგარიშვალდებული მმართველობა გულისხმობს ბიზნესის ხელშემწყობი

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

გარემოს შექმნასაც, რადგანაც ის პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში ბიზნესის კანონმდებლობას და რეგულაციებს აწესრიგებს, კერძო სექტორის საჭიროებებსაც უნდა ასახავდეს და აკმაყოფილებდეს.

რუკა მე-2: საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, 2019.


ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, 2019
USAID
ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის გამოყენებით ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ხდება საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება 3 კატეგორიად დაყოფილი 100 ინდიკატორის მიხედვით. ეს კატეგორიებია:
1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება
2. ელექტრონული მმართველობა
3. მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება
ხუთი საუკეთესო შედეგის მქონე მუნიციპალიტეტი
ხუთი ყველაზე დაბალი შედეგის მქონე მუნიციპალიტეტი
ოკუპირებული ტერიტორიები
მცხეთა
ლაგოდეხი 56%
ბათუმი 61%
ადიგენი 8%
ახალციხე 7%
ახალქალაქი 6%
ნინოწმინდა 7%
თეთრწყაროს 52%
ონი
ოზურგეთი
ქობულეთი
ხელვაჩაურა
ქედა
ხულო
ბორჯომი
ახალციხე
ბოლნისი
მარნეული
დმანისი
ურწევი 57%
ციხისძირი
ბაღდათი
ზესტაფონი
ვანი
ტყიბული
ჭიათურა
ამბროლაური
ცაგერი
ლენტეხი
ყაზბეგი
ფოთი
ხობი
ზუგდიდი 55%
ანაკლია 9%
ლანჩხუთი
ბაკურიანი
ბორჯომი
ასპინძა 7%
ბოლნისი
ადიგენი
ახალციხე
ნინოწმინდა
ბაღდათი
ზესტაფონი
ვანი
ტყიბული
ჭიათურა
ამბროლაური
ცაგერი
ლენტეხი
ყაზბეგი
ფოთი
ხობი
ზუგდიდი
ანაკლია
ლანჩხუთი
ოზურგეთი
ქობულეთი
ხელვაჩაურა
ქედა
ხულო
ბორჯომი
ახალციხე
ბოლნისი
მარნეული
დმანისი
ურწევი
ციხისძირი

მისია სააგენტოს ციფრული სტრატეგიით იხელმძღვანელებს იმისათვის, რომ ელექტრონულ მმართველობასთან, სამოქალაქო ჩართულობის ვირტუალურ ფორმებთან და ციფრულ განათლებასთან დაკავშირებული პროექტები შეიმუშაოს. დასასრულ, USAID შეისწავლის და გამოიყენებს კერძო სექტორის მიერ დემოკრატიული რეფორმების მხარდამჭერი ფინანსური დახმარებისა და ადვოკატირების პოტენციალს.

ბევრ სფეროში, მათ შორის საჯარო მმართველობის რეფორმირების პროცესში, საქართველოს მთავრობა დონორთა საქმიანობის საკოორდინაციო მექანიზმების მართვას წარმატებით ართმევს თავს. თუმცა არ შეიძლება იგივე ითქვას იმ სექტორებზე, სადაც საქართველოს მთავრობა არ გამოირჩევა მსგავსი აქტიურობით, რის გამოც, დონორებს მოუწიათ კოორდინაციის საკუთარი ფორმების შემუშავება. მაგალითად გამოდგება კანონის უზენაესობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა, სადაც საქართველოს მთავრობის თაოსნობით შექმნილი კორდინაციის მექანიზმები მოისუსტებს. ამიტომ, აღნიშნულ სექტორში მოქმედ დონორებს და მათ პარტნიორებს უწევთ ერთმანეთთან რეგულარული კომუნიკაციისა და კოორდინაციის ფორმების შექმნა და შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშემწყობი არაერთი პროგრამა სარგებლობს USAID-ის, ევროკავშირის, ევროსაბჭოს და აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთ საპროკურორო განვითარების, დახმარებისა და სწავლების პროექტის (DOJ/OPDAT) თანადაფინანსებით. დონორთა ჩართულობა საქართველოს თვით-უზრუნველყოფისკენ წარმატებული წინსვლის იმედს იძლევა.

სამოქალაქო საზოგადოების სექტორს დონორთა შორის ყველაზე დიდ დახმარებას ევროკავშირი და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) უწევენ. ევროკავშირის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარების ინიციატივა ხელს უწყობს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას, ორგანიზაციული და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებას, რეგიონებში სამოქალაქო ჩართულობის ზრდას (არასამთავრობო ორგანიზაციების მედიასთან, კომპანიებთან და ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით) და საქართველოს მთავრობასთან დიალოგის წარმართვას. შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო მრავალწლიანი ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფს რამდენიმე წამყვან ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას. USAID მჭიდროდ თანამშროლობს აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებასთან, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას მხარს უჭერს დემოკრატიის ხელშემწყობი ყოველწლიური პროგრამების საშუალებით. მისია ასევე თანამშრომლობს დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდთანაც (NED), რომელიც მცირე გრანტებს გასცემს დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მიზნით. საქმიანობის დუბლირების გამორიცხვის და ერთობლივი დიზაინის მეთოდის გამოყენებით პროგრამული საქმიანობის წარმატებით დაგეგმვის მიზნით USAID გააგრძელებს კონსულტაციებს ყველა პარტნიორ ორგანიზაციასთან.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

DO 2-თან დაკავშირებული ვარაუდებისა და რისკების ანალიზი

ვარაუდების ანალიზი:

- 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი მთავრობა (ან კოალიციური მთავრობა), გააგრძელებს რეფორმებს ისეთ მნიშვნელოვან სექტორებში, როგორებიცაა განათლება, კანონის უზენაესობა, საარჩევნო რეფორმა და ქვეყნის სრულფასოვან საპარლამენტო სისტემაზე გადაყვანა.
- საქართველო ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ აღებულ კურსს არ შეცვლის.
- საკანონმდებლო გარემო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას არ შეზღუდავს.
- ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე სტაბილურობა შენარჩუნდება, ანუ რუსეთი საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე არ შემოიჭრება.
- სტაბილურობა შენარჩუნდება სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზეც, ხოლო თურქეთის ეკონომიკა არ დასუსტდება.
- ქვეყნის ეკონომიკა პროგნოზირებული მაჩვენებლების შესაბამისად განგრძობს ზრდას.
- გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის პრიორიტეტული პარტნიორი ქვეყნის სტატუსს შეინარჩუნებს.

რისკების ანალიზი:

- პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და მღელვარებამ ხელისუფლება შეიძლება ხელში ჩაუგდოს არასაარჩევნო გზით მოსულ ძალას.
- ხელისუფლების შემდგომი კონსოლიდაცია და სამოქალაქო საქმიანობის სივრცის შეზღუდვა დემოკრატიის რეგრესს დააჩქარებს.
- არაფორმალური მმართველობა შესაძლოა გაძლიერდეს.
- ევროკავშირსა და ნატოში შეიძლება არასტაბილური ვითარება შეიქმნას.
- ნაციონალიზმი შესაძლოა მსოფლიო მასშტაბით გავრცელდეს.
- ახალ და მოქმედ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის არაეფექტური თანამშრომლობა სამოქალაქო ჩართულობას ხელს შეუშლის.
- არასტაბილური მდგომარეობა რეგიონში (ირანში, თურქეთსა და სირიაში) ლტოლვილთა და მიგრანტთა ახალ ნაკადს გამოიწვევს.
- შესაძლოა გაიზარდოს საქართველოდან მიგრანტთა რიცხვი და შემცირდეს ქვეყანაში ახალგაზრდების რაოდენობა.
- საქართველოს მთავრობამ შესაძლოა მთელი ყურადღება საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტბზე გადაიტანოს, რაც მოქალაქეთა მოთხოვნების მნიშვნელობას დააკნინებს.
- მოსალოდნელია კრემლის მავნე ზეგავლენის (მაგ. ჰიბრიდული ომის და ე.წ. ,,რბილი ძალის“[16] გამოყენებით) შემდგომი გაფართოება.

[16]საერთაშორისო ურთიერთობებში „რბილი ძალა“, ძალაუფლების ტრადიციული, ,,მყარი“ ფორმისგან განსხვავებით, გულისხმობს ზემოქმედების არაძალადობრივი გზით მოხდენას. ამ მიზნით, ქვეყანას შეუძლია თავისი კულტურული ღირებულებებისა და ეკონომიკური პოტენციალის მიმზიდველი (მაგრამ არაძალადობრივი) ფორმებითა და საშუალებებით გამოყენება, რათა სხვა ქვეყნები საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

შუალედური შედეგების (IR) აღწერა:

IR 2.1 მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურება: ანგარიშვალდებულ მმართველობაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების შესაქმნელად, USAID ხელს შეუწყობს მოქალაქეთა დემოკრატიული მართვის პროცესებში ჩართულობის გააქტიურებას. მისიის არჩევნების და პოლიტიკური პროცესების პროგრამის 2018 წლის შეფასების შედეგებმა ცხადყო, რომ პოლიტიკური პარტიების პლატფორმებსა და მოქალაქეების ინტერესებს შორის გარკვეული შეუსაბამობა არსებობს. მოქალაქეთა ინტერესების დაცვის საქმეში საზოგადოება პარტიებს ნაკლებად ენდობა, ხოლო თავად მოქალაქეებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მუშაობის და მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ. ამ შედეგების გათვალისწინებითა და USAID-ის მხარ-დაჭერით, ქვეყნის პოლიტიკური სისტემა უკეთ შეძლებს საზოგადოების ნების გათვალისწინ-ებას. ზემოაღნიშნული დისბალანსის დასარეგულირებლად, მისიის მიერ დაფინანსებული პროექტები მოქალაქეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შესძენენ ახალ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და მეთოდებს ხელისუფლებისგან კონკრეტულ პრობლემებზე ორიენტირებული, ეფექტური პროგრამებისა და შესაბამისი პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი დღის წესრიგის შესაქმნელად. პარალელურად, მისია პოლიტიკურ პარტიებთანაც ითანამშრომ-ლებს, რათა მათ შეძლონ ისეთი სტრუქტურებისა და პროცედურების შექმნა, რომლებიც მხარდამჭერთა ჩართულობასა და მათი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფენ. IR 2.1-ის მისაღწევად შექმნილი პროგრამები პოლიტიკურ პარტიებს შიდა რეფორმების განხორ-ციელებაშიც დაეხმარება, რათა პარტიებმა უკეთ შეძლონ ელექტორატის ინტერესთა გამოხატვა და გაზარდონ ქალების, ახალგაზრდების, უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და სხვა ფენების რიცხვი როგორც პარტიის რიგებში, ასევე საარჩევნო სიებში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ USAID ხელს შეუწყობს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ზრდას, განსაკუთრებით, რეგიონებში, სადაც ქალები ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა მხოლოდ 13%-ს შეადგენენ. მისიის მხარდაჭერით, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს შეუწყობენ მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას და მთავრობის საქმიანობასა და პოლიტიკურ პროცესებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმების შექმნას. USAID-ის ყოვლისმომცველი, ფუძემდებლური და საზოგადოების ყველა ფენაზე გათვლილი სამო-ქალაქო განათლების პროექტები ხელს შეუწყობენ მოქალაქეთა ჩართულობას დემოკრატი-ული მართვის პროცესებში. სამოქალაქო განათლების პროექტები მოქალაქეებს არა მხოლოდ სამოქალაქო ჩართულობის მიზანს აუხსნიან, არამედ ამ მიზნის მისაღწევ გზებსა და მეთოდებსაც შეასწავლიან.

როგორც მიმდინარე პროგრამების გამოცდილებამ გვიჩვენა, უმცირესობების და მარგინალიზირებული ჯგუფების ჩართვისა და ინტეგრაციის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული დიალოგის პროცესში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. არსებული სისტემა არ შეიცვლება მანამ, ვიდრე მოქალაქეები არ იქნებიან მზად მოსთხოვონ პასუხი მათ

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

წარმომადგენელ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს. IR 2.1-ის მისაღწევად შექმნილი პროგრამები ხელს შეუწყობენ სამოქალაქო აქტივიზმისა და ზედამხედველობის მექანიზმების შექმნას და სამოქალაქო განათლების უზრუნველყოფას. შედეგად, საქართველოში უნდა გაიზარდოს ადვოკატირების მშვიდობიანი ფორმით წარმართვის პროცესსა და პოლიტიკურ მოძრაობებში ჩართული მოქალაქეების რიცხვი. ასევე უნდა გაიზარდოს იმ ორგანიზაციების რიცხვიც, რომლებიც უმცირესობებსა და მარგინალიზებულ თემებს წარმოადგენენ.

IR 2.1-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს 2018 წლის ანგარიში, ,,საქართველოში მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის გზები: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის ამოცანების შესრულების პროცესი", საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ 2019 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანგარიში, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანგარიში და USAID-ის ქვეყანასთან თანამშრომლობისა და განვითარების სტრატეგიის გენდერული ანალიზი.

IR 2.2 მმართველი ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და ხელმისაწვდომობ-ის გაზრდა: ქართული ინსიტიტუტების ეფექტურობა საქართველოს თვითუზრუნველყოფის 2020 ფისკალური წლის გზამკვლევში ჯეროვნადაა შეფასებული, თუმცა მათი მოქალაქეებთან ურთიერთობების ეფექტიანობა ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია. ხშირად, მთავრობის ქმედება საერთაშორისო რეიტინგებში მაღალი მაჩვენებლების მიღწევის სურვილით უფროა ნაკარნახევი, ვიდრე მოქალაქეთა საჭიროებებზე ზრუნვით. შედეგად, დონორთა პრიორი-ტეტები ხშირად მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე მოქალაქეთა ინტერესები. ზემოთქმულის გათვალისწინებით, USAID ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასთან, რათა დანერგოს ბოლო წლებში შემუშავებული ანგარიშვალდებულების ხელშემწყობი მექანიზმები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების ანგარიშვალდებულებასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ. მისია იზრუნებს იმაზეც, რომ გაუმჯობესდეს მოქალაქეთა თანაბარი წვდომა მიზნობრივ სერვისებზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის დადგენა, თუ რომელი სამთავრობო ინსტიტუტები და სერვისებია უფრო ხელმისაწვდომი, არამედ იმის განსაზღვრაც, თუ რა ფორმით უნდა მოსთხოვოს საზოგადოებამ პასუხი იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მოქალაქეთა მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებენ. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის ეფექტურობის შეფასებაში მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო რეიტინგები ასრულებს, IR 2.2 მისაღწევად შექმნილი პროექტები დამატებით ინდიკატორებს გამოიყენებენ (მაგალითად, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესაფასებლად). მთავრობის მიერ გაწეული მომსახურებით მოქალაქეების კმაყოფილების დონე მთავრობის საქმიანობის და საქართველოს მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულების შეფასების კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის მხარდასაჭერად, USAID ითანამშრომლებს ცენტრალურ მთავრობასთან და მუნიციპალიტეტებთან, რათა ხელი შეუწყოს მუნიციპალური მმართველობის ორგანოთა შესაძლებლობების გაძლიერებას. ორივე დონეზე მისიის ჩართულობა გაამარტივებს მნიშვნელოვან სერვისებზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას შესაბამის სახელმწიფო უწყებებზე. ცენტრალურ დონეზე, USAID ხელს შეუწყობს აღმასრულებელ ხელისუფლებას სერვისებისა და შესაბამისი რესურსების დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება მიიღებს არსებული სისტემების და მომსახურების კანონმდებლობასთან და მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო ინსტრუქციებს. მისია ითანამშრომლებს პარლამენტთან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურთანაც, რათა უზრუნველყოს საჭირო საზედამხედველო მექანიზმების შექმნა. პარალელურად, USAID დაეხმარება მუნიციპალიტეტებს მოქალაქეებისთვის ხარისხიანი მომსახურების გასაწევად აუცილებელი სისტემების და შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შიდა კონტროლის სისტემების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებისა და საზედამხედველო პროცესებში, ისევე როგორც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მიუკერძოებლობასა და გამჭირვალობას. მისიისთვის პრიორიტეტული იქნება მიზნობრივ სერვისებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა, რათა ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებულმა სისტემამ სარგებელი მარგინალიზებულ ჯგუფებსაც მოუტანოს. ზემოაღნიშნული აქტივობების შედეგად, გაიზრდება საჯარო მმართველობის ეფექტურობა და ანგარიშვალდებულება.

IR 2.2-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს 2018 წლის ანგარიში, ,,საქართველოში მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის გზები: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის ამოცანების შესრულების პროცესი“, საერთაშორისო გამჭირვალობის 2018 წლის ანგარიში: „საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება საქართველოში“, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანგარიში, Freedom House-ის 2019 წლის ანგარიში: „თავისუფლება მსოფლიოში“ და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ 2018 წლის ანგარიში.

IR 2.3 კანონის უზენაესობის გაძლიერება: USAID გააგრძელებს საქართველოში კანონის უზენაესობის მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული ფუნქციონალურად გამართული და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული სისტემის ჩამოყალიბებას. ეს სისტემა დაეფუძნება მიუკერძოებლობისა და გამჭირვალობის პრინციპებს და უზრუნველყოფს სამართლიანობას ყველასთვის, მათ შორის, მოსახლეობის ხელმოკლე, მარგინლიზირებული და არაპრივილეგირებული ფენებისთვის,

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ისევე როგორც ქალებისთვის და გოგონებისთვის. ამ მიმართულებით, მისია შეეცდება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პარადიგმაში ინსტიტუციური გაძლიერების ტრადიციული მეთოდები მოქალაქეებზე ორიენტირებული მიდგომებით ჩაანაცვლოს.

შესაბამისად, USAID მხარს დაუჭერს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმას, მათ შორის „სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღას“, რომელიც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ემსახურება მართლმსაჯულების სისტემის შემადგენელი ინსტიტუტების, მომსახურების სააგენტოებისა და უწყებების დამოუკიდებლობის, გამჭირვალობის, ანგარიშვლადებულების და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. მისია წვლილს შეიტანს დამატებითი საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკის განმსაზღვრელი ჩარჩოსა და სტრატეგიების შექმნის საქმეში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას ზემოაღნიშნული მახასიათებლების შესაბამისად. USAID გააუმჯობესებს მართლმსაჯულების სისტემის შემადგენელი ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი, სასამართლოს საქმიანობის ხარისხსა და ეფექტურობას, რათა მათ უკეთ შეძლონ დაკისრებული მოვალეობების აღსრულება კანონის უზენაესობის პრინციპების შესაბამასად. გარდა ამისა, აღნიშნული საქმიანობა გულისხმობს სისტემაში ანგარიშვალდებულების საკითხის კომპლექსურად გადაჭრას. სახელმწიფო ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მონიტორინგისა და ანგარიშგების ტრადიციული ფორმების გამოყენების პარალელურად, მისია ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემის წამყვან ინსტიტუტებსა და გარეშე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას. მათ შორისაა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, იურიდიულ და საკანონმდებლო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც სისტემაში არსებულ გამოწვევებს შეაფასებენ და მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ მეთოდებს შეიმუშავებენ.

IR 2.3-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: CRRC-ის 2016 და 2019 წლების კვლევები: „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში - იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ხედვა“, CRRC-ის 2019 წლის „სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა“, საერთშორისო გამჭირვალობა საქართველოს 2018 წლის ანგარიში: „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ 2018 წლის ანგარიში, საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს 2018 წლის ანგარიში: „კორუფციის აღქმის ინდექსი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018-2019 წლების „სასამართლო საქმეების მონიტორინგის“ ანგარიშები, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის 2019 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2019 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

DO 3: ეკონომიკური ზრდის შედეგად შექმნილი ინკლუზიური, მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობები.

მისიის ჰიპოთეზა *(რომელიც DO 3-სა და მის მისაღწევად აუცილებელ წინაპირობებს შორის ურთიერთკავშირს ასახავს):* ***თუ*** საქართველოს მთავრობა შეძლებს ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, ***თუ*** ქართულ კომპანიებს ექნებათ წვდომა მათი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისთვის საჭირო რესურსებზე, ***მაშინ***, საქართველოს ფართომასშტაბიან ეკონომიკურ ზრდას შედეგად მოჰყვება დასაქმების შესაძლებლობების მატება, ქვეყნის დასავლეთთან დაახლოება და თვითუზრუნველყოფისკენ წინსვლა.

საქართველომ ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკის ზრდის შედეგად მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა, რაც ქვეყანის დასავლეთისკენ და თვითუზრუნველყოფისკენ სვლას აფერხებს. არსებული მდგომარეობა მრავალი მიზეზითაა გამოწვეული. საქართველომ შეიმუშავა ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული, მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, თუმცა მათი განხორციელების პროცესი ჯერ კიდევ არაერთ სირთულეს აწყდება.

რუკა მე-3: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) განაწილება უმუშევრობის დონის მიხედვით, 2018.



APPROVED FOR PUBLIC RELEASE

შედეგად, ქვეყნის ბიზნესგარემოში იქმნება არასტაბილური ვითარება, რომელიც აბრკოლებს ეკონომიკურ საქმიანობას და ხელს უშლის იმ ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც ასე სჭირდება საქართველოს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდისთვის. მეორე მხრივ, ქართულ კომპანიებს არ მიუწვდებათ ხელი იმ რესურსებზე, რომელთა გარეშე შეუძლებელია კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და დასაქმების შესაძლებლობების შექმნა ეკონომიკის წამყვან სექტორებში. აღნიშნულ რესურსებში იგულისხმება წვდომა დივერსიფიცირებულ, მაღალი ღირებულებისა და მაღალშემოსავლიან ბაზრებზე, საინვესტიციო რესურსებზე, მართვის მდგრადი მეთოდებით ათვისებულ ბუნებრივ რესურსებზე და ისეთ სამუშაო ძალაზე, რომლის კვალიფიკაციაც კერძო სექტორის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

DO 3-ის მისაღწევად, მისია გამოიყენებს საქართველოს მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რათა შექმნას მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილები და მაქსიმალურად გაზარდოს ის სარგებელი, რაც ქვეყნისთვის დასავლეთისკენ სწრაფვას მოაქვს. ამ მიზნით, სტრატეგია ორი, ურთიერთდამოკიდებული მიდგომის გამოყენებას ითვალისწინებს. ერთი მხრივ, მისიის საქმიანობა გააძლიერებს ქვეყანას ისე, რომ მან შეძლოს ეკონომიკური რეფორმების სრულფასოვანი განხორციელებისთვის საჭირო, უაღრესად რთული ნაბიჯების გადადგმა, რაც დააჩქარებს ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. მეორე მხრივ, გაიზრდება იმ წამყვანი სექტორების კონკურენტუნარიანობა, რომლებსაც მაღალანააზღაურებადი და მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ. აღნიშნული პოტენციალის გამოსაყენებლად კი, ქართული კომპანიები საჭიროებენ სხვადასხვა რესურსებს როგორც მოქალაქეების, ასევე, ზოგადად, ეკონომიკის შესაძლებლობების განსავითარებლად. ამგვარ რესურსებში მოიაზრება საბაზრო კავშირები, ინვესტიციათა ახალი და დივერსიფიცირებული წყაროები, მართვის მდგრადი მეთოდებით ათვისებული ბუნებრივი რესურსები და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა.

წინამდებარე სტრატეგიის მიხედვით, USAID საბაზისო ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების პროგრამებს (რომლებმაც საქართველოში საბაზრო, დასავლურზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო საფუძველი შექმნეს) ბიზნესის სტიმულირებაზე გათვლილი აქტივობები ჩაანაცვლებს, რომელთა მიზანია მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ხელშემწყობი ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად. USAID-ის საქმიანობა დაეხმარება საქართველოს მაქსიმალურად გამოიყენოს გზამკვლევის ეკონომიკური პოლიტიკის ქვე-კატეგორიაში ნაჩვენები შედეგი (,,ბიზნეს გარემოს“ ინდიკატორის მიხედვით საქართველოს მიენიჭა 0.57 ქულა, ,,მთავრობის ეფექტურობის“ ინდიკატორის მიხედვით - 0.65), რათა მოახდინოს საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია და გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მიზნით.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

საგრანტო დაფინანსების შემცირების ფონზე, მისიის თანამშრომლობა კერძო სექტორთან და საქართველოს მთავრობასთან უფრო ინტენსიურ ხასიათს შეიძენს. ეს შექმნის კერძო სექტორიდან დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს (MSME) ისარგებლონ საქართველოს მიერ გზამკვლევის ეკონომიკური პოლიტიკის ქვე-კატეგორიაში მიღწეული წარმატებით („ვაჭრობის თავისუფლების“ ინდიკატორის მიხედვით ქვეყანას აქვს 0.89 ქულა, რაც, მსოფლიო მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან მაღალი მაჩვენებელია). უფრო კონკრეტულად კი, აღნიშნული საწარმოები გააფართოებენ ბიზნეს-საქმიანობის არეალს, დააკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს, გავლენ მაღალი ღირებულებისა და მაღალშემოსავლიან ბაზრებზე და გააუმჯობესებენ „ექსპორტის კომპლექსურების“ ინდიკატორის მაჩვენებელს (სადაც საქართველოს მიენიჭა 0.46 ქულა). ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკის ისეთ მაღალხარისხიან და მაღალშემოსავლიან დარგებს, როგორებიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, მომსახურება და მსუბუქი მრეწველობა. ამ მიმართულებით კონკრეტული პროექტების შემუშავების და განხორციელების პროცესში მისიას კერძო სექტორთან პარტნიორული ურთიერთობის გამოცდილება დიდ სამსახურს გაუწევს. მაგალითად, კომპანია ,,ფერეროსთან“ გლობალური განვითარების ალიანსის (GDA) ფარგლებში, USAID-მა წარმატებით ითანამშრომლა თხილის გადამამუშავებელი საწარმოების ქსელის შესაქმნელად, თხილის მწარმოებელთა ორი ასოციაციის გასაძლიერებლად და სხვადასხვა მავნებელების მიერ მიყენებული ზიანისადმი თხილის სექტორის მედეგობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, მისიამ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად დიდი სამუშაო გასწია. USAID-ის პარტნიორობა BP-სთან ხელს უწყობს მარგინალიზირებული მოსახლეობისთვის საკვანძო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და მიკრო და მცირე საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდას. მისია გამოიყენებს ზემოაღნიშნული პარტნიორული ურთიერთობებიდან მიღებულ გამოცდილებას კერძო სექტორთან ერთად ახალი ინიციატივების ერთობლივი დიზაინის საფუძველზე შესაქმნელად. საქართველოს წინსვლას თვითუზრუნველყოფისკენ ხელს შეუწყობს მისიის მიერ მთავრობათაშორისი (G2G) მექანიზმების უფრო ხშირად გამოყენებაც.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკურმა ზრდამ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ შეძლო (რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის მიერ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერასთან), მისიის საქმიანობა ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეებს მოიძიონ და ისარგებლონ მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობები. დასაქმების დონის ზრდა კი, გააუმჯობესებს „სიღარიბის დონის“ ინდიკატორის მაჩვენებელს (რომელიც, ამ დროისთვის, 0.61 ქულას შეადგენს), გაზრდის ,,მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე“ (0.54 ქულა) და მოიზიდავს დამატებით ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკაში.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

რუკა მე-4: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%), 2018.



რუკა მე-5: მშპ-ს ყოველთვიური განაწილება ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით (აშშ დოლარი), 2018.



APPROVED FOR PUBLIC RELEASE

წარსულში განხორციელებულ პროგრამებისგან განსხვავებით, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამები კერძო სექტორთან თანამშრომლობით შეიქმნება, ერთობ-ლივი დიზაინისა და თანადაფინანსების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სათანადო კვალიფიკაციით აღჭურვილი სამუშაო ძალის შექმნას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობას მათ განხორციელებაში.

ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების ათვისებას დიდი პერსპექტივა გააჩნია იმ შემთხვევაში, თუ მათი მართვა მდგრადი მეთოდების გამოყენებით მოხდება. მაგალითად, დაცული ტერიტორიების, ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების მდგრადი მართვის პირობებში, შესაძლებელია ტურიზმისა და სასტუმროების სექტორების, როგორც სოფლად მცხოვრები და არაპრივილეგირებული მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დარგების განვითარება. ცხადია ისიც, რომ სარწყავი წყლისა და სახნავი მიწის გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარება და, შესაბამისად, ქართული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანა. ამ რესურსების მდგრად მართვას ქვეყნის თვითუზრუნველყოფისთვის გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა აქვს, ამიტომ USAID ყველა ღონეს იხმარს ამ სფეროში მთავრობის შესაძლებლობების განვითარებისთვის. შედეგად, DO 3-ის მისაღწევად შექმნილი პროექტები ხელს შეუწყობენ საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე დროულ რეაგირებას, ისევე როგორც ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და „ბიომრავალფეროვნებისა და საცხოვრებელი გარემოს დაცვის“ (0.57 ქულა) ინდიკატორის მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

მისიის სტრატეგიული მიდგომა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებთან სრულ თანხვედრაშია. საქართველო განაგრძობს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მისაღწევად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლის-მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) პირობების შესრულებას და თავისუფალი ვაჭრობის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას, რაც ხელს უწყობს მისიას ითანამშრომლოს საქართველოს მთავრობასთან და დააჩქაროს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე გათვლილი რეფორმების დასრულება. სამუშაო ადგილების შექმნა არა მხოლოდ წინამდებარე სტრატეგიის პრიორიტეტს, არამედ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედსაც წარმოადგენს. ეკონო-მიკისა და ექსპორტის დივერსიფიკაციისთვის მთავრობა მხარს უჭერს და აფინანსებს იმ სექტორების განვითარებას, რომელთაც საექსპორტო პროდუქციის წარმოების ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ. ეს კი, სრულ შესაბამისობაშია მისიის კერძო სექტორთან თანამშრომ-ლობის სტრატეგიასთან, რომლის მიზანია წამყვანი სექტორების კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

სტრატეგია ასევე ითვალისწინებს ურთიერთობების შემდგომ განვითარებას იმ საერთა-შორისო ორგანიზაციებთანაც, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

საქართველოს თვითუზრუნველყოფისკენ წინსვლის საქმეში. ამ მხრივ, ევროკავშირის მხარდაჭერა DCFTA-ის განხორციელებაში ქმნის საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ვალდებულებების გადანაწილების შესაძლებლობებს, რათა უფრო ეფექტურად გადაიჭრას საქართველოს მთავრობის წინაშე არსებული პრიორიტეტული ამოცანები და განხორციელდეს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული რეფორმები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კერძო სექტორის საჭიროებებზე მორგებული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების განვითარებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირს განახორციელოს ინვეტიციები საქართველოს მთავრობის მიერ ტექნიკური და პროფესიული განათლების სისტემების მართვასა და განვითარებაში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მათ შორის ევროპის საინვესტიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ისევე როგორც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია (DFC), განაგრძობენ საქართველოს საფინანსო სექტორის ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას, რაც პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისა და საინვესტიციო რესურსების მოსაზიდად ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

DO 3-თან დაკავშირებული ვარაუდებისა და რისკების ანალიზი

ვარაუდების ანალიზი:

- საქართველოს მთავრობა:
    - განაგრძობს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.
    - ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ დიალოგში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობას.
    - გააგრძელებს ინვესტიციების განხორციელებას ეკონომიკის დივერსიფიკაციის მიზნით.
    - 2020 წლის არჩევნების შემდეგ:
        - საქართველო შეინარჩუნებს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში პარტნიორ ორგანიზაციებთან შემდგომი დაახლოების ინტერესს.
        - საქართველოსთვის პრიორიტეტად დარჩება თავისუფალი ვაჭრობისა და კანონის უზენაესობის ხელშემწყობი გარემოს შენარჩუნება, როგორც ჯანსაღი ბიზნესგარემოსა და ინვესტიციების მოზიდვის საწინდარი.
- კერძო სექტორი:
    - გააგრძელებს საქართველოს მდგრად ენერგო სექტორში ინვესტირებას.
    - დაადგენს სექტორში არსებული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს.
    - კრედიტორები ითანამშრომლობენ იმ ბენეფიციარებთან, ვინც კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს გაივლის.
- საზღვრისპირა რეგიონებში ვითარება არ გაუარესდება, ხოლო რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოიჭრება.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

- ევროკავშირი საქართველოს ინტეგრაციის ურყევ მხარდაჭერას განაგრძობს.
- მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობების ზრდა დაეხმარება საქართველოს შეაჩეროს ახალგაზრდების მიგრაცია ქვეყნიდან.

რისკების ანალიზი:

- მავნე ზეგავლენის გაფართოებას შესაძლოა იმ ადამიანთა რიცხვის ზრდა მოჰყვეს, ვინც უპირატესობას რუსეთთან ინტეგრაციას ანიჭებს.
- შესაძლოა ევროკავშირში შესუსტდეს საქართველოსთან შემდგომი დაახლოების ინტერესი.
- ბუნებრივი კატასტროფები და მოვლენები (მაგ. აზიური ფაროსანას გავრცელება, მიწისძვრები და სხვა) მაღალი პოტენციალის მქონე ეკონომიკურ სექტორებზე ნეგატიურ გავლენას მოახდენენ.
- მავნე ზეგავლენა წამყვან სექტორებს, მათ შორის ენერგეტიკას, ვაჭრობასა და ტურიზმს, დააზარალებს.
- რეგიონში მომხდარი, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენები საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება (რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს, მაგალითად, ვალუტის გაცვლითი კურსის დაცემა).
- მიუხედავად დასაქმების ახალი შესაძლებლობებისა, ახალგაზრდების მიგრაციის დონე არ შემცირდება.
- კერძო სექტორს შესაძლოა არ აღმოაჩნდეს სათანადო ინფორმაცია სექტორში არსებული კვალიფაკაციისა და უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ.
- არჩევნების შედეგებმა შეიძლება ქვეყნის დასავლური ორიენტაციის შეცვლა გამოიწვიოს.

შუალედური შედეგების (IR) აღწერა:

IR 3.1 ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება: სტრატეგია ეყრდნობა საქართველოს წარმატებული ეკონომიკ-ური რეფორმების გამოცდილებას, რათა ქვეყანამ თვითუზრუნველყოფისკენ წინსვლის დამაბრკოლებელ გამოწვევებს თავი გაართვას და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმები წარმატებით დააგვირგვინოს. USAID-ის მხარ-დაჭერა საქართველოს იმ სფეროებში გააძლიერებს, სადაც მისი ვალდებულებებისა და შესაძლებლობების დონე მაღალია, რათა მოხდეს კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგისთვის საჭირო მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია. ამგვარად, კერძო სექტორი შეძლებს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში მონაწილეობას. დასავლეთზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მიზნით, USAID საქართველოს მთავრობასთან იმ სფეროებში ითანამშრომლებს, სადაც ქვეყნის ვალდებულებების დონე

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

მაღალია, ხოლო შესაძლებლობების დონე - დაბალი. მისია ხელს შეუწყობს რეფორმების განხორციელებას იმ სფეროებშიც, რომელთა წარმატებული განვითარების გარეშე რთული იქნება DO 3-ის მიღწევა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფინანსური ბაზრები (რომელთა განვითარების გარეშე საქართველო ვერ შეძლებს თვითუზრუნველყოფის საკუთარი რესურსებით დაფინანსებას), ისევე როგორც ეკონომიკის ის სექტორები, სადაც, მთავრობის გაცხადებული პრიორიტეტების შესაბამისად, არსებობს ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ყველაზე დიდი პოტენციალი (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მსუბუქი მრეწველობა და სხვა). შედეგად, მისიის სტრატეგია ხელს შეუწყობს საქართველოს ინვესტიციებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს შექმნაში.

IR 3.1-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: „დიდი სამეულის“ (Fitch, S&P და Moody-ის) 2019 წლის საკრედიტო რეიტინ-გები, მსოფლიო ეკონომიკური ფონდის (WEF) 2019 წლის ანგარიში: „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“, მსოფლიო ბანკის 2018 წლის „ქვეყნის სისტემური დიაგნოსტიკა“, მსოფლიო მმართველობის 2018 წლის ინდიკატორები (მონაცემთა ბაზა, რომელიც სრულად ეფუძნება სხვადასხვა გლობალურ რეიტინგებსა და შეფასებებს, მაგ. Freedom House, IREX Media Sustainability Index, Open Budget Index, World Justice Project და ა.შ., სულ 32), USAID-ის 2017 წლის საქართველოს პოლიტიკური ეკონომიკის ანალიზი და 2019 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი.

IR 3.2 წამყვან სექტორებში გაზრდილი კონკურენტუნარიანობა: სტრატეგიის ეს ნაწილი ეთმობა ქვეყნის წამყვანი ეკონომიკური სექტორების კონკურენტუნარიანობის გაზრდას, რომელთაც გააჩნიათ მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შექმნის საუკეთესო პერსპექტივა. ამ მიზნის მისაღწევად ქართულ კომპანიებს ისეთ რესურსებზე წვდომა ესაჭიროებათ, რომელთა გარეშე ვერ მოხერხდება ქვეყნის მოსახლეობისა და ეკონომიკის შესაძლებლობების ზრდა. იგულისხმება ახალი ბაზრები, ახალი და დივერ-სიფიცირებული საინვესტიციო წყაროები, მდგრადი მართვის მეთოდებით ათვისებული ბუნებრივი რესურსები და კვალიფიციური სამუშაო ძალა. IR 3.2-ის მისაღწევად შექმნილი პროექტები ხელს შეუწყობს კომპანიებს მოიპოვონ აუცილებელი ფინანსური რესურსები ბიზნესის გაფართოების, დამატებითი მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნის, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილების და დივერსიფიცირებულ, მაღალი ღირებულებისა და მაღალშემოსავლიან ბაზრებზე წვდომის-თვის. USAID-ის მხარდაჭერით გაუმჯობესდება მიკრო, მცირე და საშუალო (მათ შორის ქალთა მიერ შექმნილი) საწარმოების ფინანსური განათლებისა და მართვის დონე, ისევე როგორც რეალისტური ბიზნესგეგმების შემუშავების უნარი და შიდა საბუღალტრო სისტემები. არანაკლები ძალისხმევა დაეთმობა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასაც, რისთვისაც მისია გამოიყენებს აშშ-ს მთავრობის „ქალთა გლობალური განვითარებისა და წარმატების ინიციატივის” (W-GDP) ფარგლებში მეწარმე ქალთა დასახმარებლად შექმნილი პროექტის

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

გამოცდილებას. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობაზე მორგებული ფინანსური ინსტრუმენტების განვითარების მიზნით, USAID დიდ ყურადღებას დაუთმობს ბანკებთან, ალტერნატიულ კრედიტორებთან, საერთაშორისო კომპანიებთან და სხვა დონორებთან თანამშრომლობას. იმის გათვალისწინებით, რომ მისია ხელს შეუწყობს ადგილობრივ კომპანიებს კომერციული დაფინანსების წყაროების მოპოვებაში და ითანამშრომლებს საფინანსო ინსტიტუტებთან დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტების შესაქმნელად, USAID შეამცირებს საგრანტო დაფინანსების მოცულობას და აქცენტს გადაიტანს კერძო სექტორისა და საქართველოს მთავრობის როლზე ეკონომიკური ზრდის ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში. ამასთანავე, მისია აქტიურად შეეცდება საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (DFC) ინსტრუმენტების გამოყენებას, რათა გაზარდოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების წვდომა ფინანსურ რესურსებზე. შედეგად, ხელმისაწვდომი საინვესტიციო რესურსები ხელს შეუწყობს საჯარო რესურსების მობილიზების კუთხით მიღწეულ პროგრესს და პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის წინსვლაზე ზემოაღნიშნული სტრატეგიის - „დაფინანსება თვითუზრუნველყოფის მისაღწევად“ (FSR) - შემადგენელ სეგმენტებში.

USAID გამოიყენებს სააგენტოს ორგანიზაციულ ავტორიტეტს კერძო სექტორთან თანამშრომლობის, კერძო და საჯარო სექტორებს შორის წარმატებული პარტნიორული ურთიერთობების (როგორიცაა, მაგალითად Ferrero-თან და BP-თან და გლობალური განვითარების ალიანსის (GDA) ეგიდით განხორციელებული პროგრამები) ხელშეწყობის, საქართველოს მთავრობისგან თანადაფინანსების შესაძლებლობების მოძიების და ეკონომიკის თვითკმარი სექტორების ფინანსური დახმარების შეწყვეტის მიზნით. მაგალითად, USAID შეეცდება გაზარდოს კერძო სექტორისა და მთავრობის ფინანსური წილი და დაასრულებს საქმიანობას თხილის სექტორში, რომელიც დამოუკიდებელად უზრუნველყოფს განვითარებისათვის საჭირო ფინანსებს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა სექტორებისთვის მისაბაძი მაგალითი გახდება.

ეკონომუკური ზრდის უზრუნველსაყოფად, მისია ასევე ხელს შეუწყობს ქართული კომპანიების ხელმისაწვდომობას ისეთ ბუნებრივ რესურსებზე, როგორებიცაა წყალი, ნარჩენების მართვა, ბუნებრივი სივრცეები, ენერგიის მდგრადი და სტაბილური წყაროები. წინამდებარე სტრატეგია ენერგორესურსებით სტაბილურ მომარაგებას განიხილავს, როგორც ეკონომიკური ზრდის აუცილებელ კომპონენტს, განსაკუთრებით კი, ტურიზმისა და მსუბუქი მრეწველობის სექტორებში. შესაბამისად, სტრატეგიით განსაზღვრული შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, ენერგომომარაგებას განსაკუთრებული როლი ენიჭება. ენერგორესურსებით უზრუნველყოფის გარეშე, სასტუმროები ვერ შეძლებენ სტუმრების მიღებას, ტურისტები - ტელეფონების დამუხტვას, მსუბუქი მრეწველობა - დაზგების გამოყენებას, ქალაქები კი, ქუჩების განათებას. ქვეყნის თვითუზრუნველყოფა დაუძლეველ ამოცანად დარჩება ისეთი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გარეშე, როგორებიცაა დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები, წყალი და სახნავი მიწები. აქედან გამომდინარე, სტრატეგია დასაქმების

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

შესაძლებლობების ზრდის წინაპირობად ბუნებრივი რესურსების სწორ მართვას მიიჩნევს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებში. ბუნებრივი რესურსების მართვა მოიცავს ნარჩენების მართვისა და გარემოსთვის უსაფრთხო ენერგოპროექტებსაც და ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც ერთი სექტორის განვითარებამ სხვა სექტორები არ უნდა დააზარალოს. ენერგორესურსებზე (განსაკუთრებით კი, ჰიდროელექტოენერგიაზე) და წყლის რესურსებზე უწყვეტი და სტაბილური წვდომა შესაძლოა შეაფერხოს ტემპერატურის მატებამ, ცვალებადმა ნალექიანობამ, წყალდიდობების, მეწყერებისა და ღვარცოფების მომატებულმა დონემ. შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს მთავრობის შესაძლებ-ლობების განვითარება, რათა მან წარმატებით გაართვას თავი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის, კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგობის გაუმჯობესების და სოფლის მეურნეობაში კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის მეთოდების დანერგვას. აღნიშნული ამოცანების გადაჭრა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ საქართველოს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, არამედ რეალისტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და ქვეყნის ბიომრავალფეროვნებისა და საარსებო გარემოს დაცვასაც.

IR 3.2-ის მისაღწევად შემუშავებული პროექტები ხელს შეუწყობს საქართველოში კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის საქმეში. წარსულში განხორციელებული პროგრამებისგან განსხვავებით, ახალი სტრატეგია სამუშაო ძალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ისეთი პროექტების შემუშავებას ითვალისწინებს, რომელთა დიზაინი კონკრეტული დარგების საჭიროებებით იქნება ნაკარნახევი. აღნიშნულ პროექტებში საბაზისო უნარ-ჩვევების სასწავლო პროგრამებს ჩაანაცვლებს კონკრეტული სექტორების საჭიროებებზე მორგებული აქტივობები, რომელთა დიზაინსაც მისია კერძო სექტორთან ერთად შეიმუშავებს, ხოლო დასაქმებულთა ტრენინგებს შესაბამისი დარგის მოთხოვნებს შეუსაბამებს. ზემოაღნიშნული საქმიანობის დასაფინან-სებლად, USAID აქტიურად მოიძიებს კერძო სექტორის მიერ თანაინვესტირების შესაძლებ-ლობებს. სააგენტოს კერძო სექტორის ჩართულობის (PSE) სტრატეგია და რეკომენდაციები საფუძვლად დაედება მისიისა და კერძო სექტორის თანამშრომლობას და ხელს შეუწყობს საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც ქვეყნის თვით-უზრუნველყოფისკენ გადადგმული, მნიშვნელოვანი ნაბიჯია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონკრეტული დარგების საჭიროებებზე მორგებული კვალიფიკაციის ამაღლება და კვალიფიციური კადრების დასაქმება კერძო სექტორში ეხმიანება მისიის კიდევ ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას - ახალგაზრდების განვითარებას. უმუშევრობის შემცირება ხელს შეუწყობს არა მარტო ეკონომიკურ ზრდას, არამედ საქართველოდან (სადაც მოსახ-ლეობის საერთო რაოდენობის კლების ფონზე სტაბილურად მატულობს ხანდაზმულთა რაოდენობა) მიგრაციის დონის დაწევასაც.

IR 3.2-ის ფორმულირების პროცესში მისიამ შემდეგი ანალიტიკური წყაროებით იხელმძღვანელა: საქსტატისა და საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის 2019 წლის სავაჭრო რუკის

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

სტატისტიკა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) 2019 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“, მსოფლიო ბანკის 2018 წლის „ქვეყნის სისტემური დიაგნოსტიკა“, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის დიზაინისთვის 2017 წელს გამართული კონსულტაციები, მისიის 2017 წლის ბაზრისა და ეკონომიკური სექტორების შეფასება, USAID-ის 2018 წლის კვლევა ქვეყანაში ახალგაზრდების შესახებ, USAID-ის 2018 წლის ენერგო უსაფრთხოების შეფასება, მისიის 2019 წლის კვლევა ფინანსების ხელმისაწვდომიბის შესახებ, USAID-ის 2019 წლის ენერგო სექტორში არსებული ხარვეზების შეფასება, ქვეყნის განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიის 2019 წელს ჩატარებული ბიომრავალფეროვნების შეფასება და გენდერული ანალიზი.

V. მონიტორინგი, შეფასება და მიღებული გამოცდილება

მისია გამოიყენებს შეძენილ გამოცდილებას და მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს თვითუზრუნველყოფისკენ სვლაში და ქვეყნის განვითარებისა და თანამშრომლობის სტრატეგიაში დასახული მიზნების მიღწევაში. თვითუზრუნველყოფის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველო კავკასიის რეგიონში სანიმუშო ქვეყანაა. მისი გამოცდილება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეუძლია ქვეყანას ხელმისაწვდომი რესურსების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით სტრატეგიული და პრიორიტეტული ამოცანების გადაჭრა. მისია ითანამშრომლებს როგორც არსებულ, ასევე მომავალ პარტნიორებთან, კერძო სექტორთან და საქართველოს მთავრობასთან, რათა სტრატეგიით გათვალისწინებული რესურსების ეფექტურად ათვისება უზრუნველყოს. ამ მიზნით, USAID გამოიყენებს მონიტორინგის, შეფასებისა და მიღებული ცოდნა-გამოცდილების გაზიარების ზედმიწევნით შემუშავებულ მეთოდებს.

მისია რეგულარულ მონიტორინგს გაუწევს სტრატეგიის განხორციელების პროცესს, რათა გაანალიზოს, თუ რამდენად უწყობს მისი საქმიანობა ხელს საქართველოს თვით-უზრუნველყოფისკენ წინსვლას. USAID-ის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისად, მისია გამოიყენებს მონიტორინგისა და შეფასების როგორც ტრადიციულ, ასევე ინოვაციურ მეთოდებს, რათა მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებული მონაცემები უკეთ შეისწავლოს და გაიაზროს.

მონიტორინგი: რაოდენობრივ და თვისებრივი მეთოდებზე დაყრდნობით, USAID-ის სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის პროცესი შეეხება როგორც სტრატეგიის, ასევე კონკრეტული პროექტების მიზნებს. სტრატეგიაში დასახული მიზნების ყველა დონეზე მისაღწევად აუცილებელია ინოვაციური მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც ქვეყნის კონტექსტს ადეკვატურად ასახავს. ამისათვის USAID გამოიყენებს გეოგრაფიულ საინფორ-მაციო სისტემის (GIS) ტექნოლოგიას (იგულისხმება ინტერაქიული რუკები, მონაცემთა ვიზუალიაცია და ანალიზი), რათა დაადგინოს, თუ რამდენად წარმატებით ახერხებს მისია სტრატეგიის განვითარების მიზნების (DO), შუალედური შედეგებისა (IR) და კონკრეტული

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

პროექტების შედეგების მიღწევას. 2019 წელს ჩატარდა ორი GIS ტრენინგი მისიის თანამშრომლებისთვის, ხოლო USAID-ის GIS სპეციალისტი კოორდინაციას გაუწევს ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენებას სტრატეგიის განხორციელების პერიოდში. მისია გააგრძელებს პარტნიორებთან დადებულ კონტრაქტებსა და ხელშეკრულებებში სტანდარ-ტული ტექსტის გამოყენებას, რომლის საფუძველზეც შესაბამის ორგანიზაციებს მოსთხოვს გეოგრაფიული მონაცემების წარდგენას USAID-ის საერთაშორისო განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ ახალი დირექტივის, ADS 579-ის, შესაბამისად. სტატეგიის განხორციელების შუა ეტაპზე მისია კომპლექსურად შეაჯამებს განახორციელების პროცესსა და შედეგებს, რათა დარწმუნდეს სტრატეგიის პრიორიტეტების აქტუალურობაში, გაანალიზოს სტრატეგიის მიზნის, განვითარების მიზნებისა და შუალედული შედეგების მისაღწევად განვლილი გზა და, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტივები. სტრატეგიის განხორციელების პროცესში მისია დაიცავს ადაპტირებადი მართვის პრინციპებს, რათა შეინარჩუნოს შესაძლო კონტექსტუალურ ან პროგრამულ ცვლილებებსა და გამოწ-ვევებზე რეაგირების უნარი.

შეფასება: ახალი სტრატეგიის განხორციელების პროცესში, USAID-ის სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად, მისია არაერთი პროექტის შეფასებას მოახდენს. სააგენტოს მოთხოვნების გათვალსიწინებით, ჩატარდება პროექტების კომპლექსური (Whole-Of-Project) შეფასების პროცესიც. მისია პროგრამების შეფასებას დიდ ყურადღებას დაუთმობს, რათა დაადგინოს, თუ რამდენად უწყობს ხელს USAID-ის საქმიანობა (წინამდებარე სტრატეგიაში განსაზღვრული ფორმით) საქართველოს თვითუზრუნველყოფისკენ წინსვლას. ზემო-აღნიშნული შეფასებები შესაძლებლობების ფარგლებში შეისწავლიან კორელაციას მისიის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებსა და აქტივობებს; და საქართველოს თვით-უზრუნველყოფის გზამკვლევის კატეგორიებს, ქვე-კატეგორიებსა და ინდიკაკტორებს შორის. აღსანიშნავია, რომ გაიზრდება სტრატეგიის განხორციელების პროცესში ჩატარებული შეფასებების რაოდენობა, რომელთა დაგეგმვა მიმდინარეობს მისიის მონაცემების მართვის სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში. მისიის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგია და კითხვარები შეიქმნება USAID-ის თვითუზრუნველყოფასთან დაკავშირებ-ული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების მეთოდების (USAID's Self-Reliance Learning Agenda) მიხედვით. მისია ასევე შეეცდება შეფასებების პროცესში ქართული კომპანიების და ექსპერტების ჩართვას, რაც ემსახურება ადგილობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდის მიზანს.

„კოლაბორაცია, სწავლება და ადაპტაცია" (CLA): სტრატეგიის განხორციელების პროცესის მონიტორინის მიზნით, USAID გამოიყენებს სააგენტოს ,,კოლაბორაციის, სწავლების და ადაპტაციის" პრინციპებსა და მიდგომებს. სტრატეგიაში გათვალსიწინებულია ქართულ ორგანიზაციებთან ეფექტური პარტნიორული ურთიერთობების დამყარების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის, ერთობლივ დიზაინზე მუშაობა, მთავრობათაშორისი პარტნიორობა და სხვა. არანაკლები ყურადღება დაეთმობა კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, რათა CLA-ის მეთოდოლოგია მისიის ყველა პარტნიორისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. სტრატეგიის განხორციელების პროცესში, USAID რეგულარულ კონსულტაციებს გამართავს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს განვითარებისა და თვითუზრუნველყოფის ხელშემწყობ პროცესებში. ეს მიდგომები კი, USAID-ს შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ქვეყნის პარტნიორებთან და აშშ-ს მთავრობის უწყებათაშორის სააგენტოებთან უფრო ეფექტურად ითანამშრომლოს.

USAID დაგეგმავს და აამოქმედებს ადაპტირებადი მართვის მოდელს პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება პარტნიორობის სტრატეგიით გათვალისწინებული ფორმების გამოსაყენებლად. შესაბამისად, მისია, სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპზე, დიდ დროს დაუთმობს გაწეული საქმიანობის ეფექტურობის ანალიტიკურ გააზრებასა და მიღწეული პროგრესის კომპლექსურ შეფასებას. ყოველივე ეს კი, USAID-ს მისცემს შესაძლებლობას, რომ აღმოფხვრას ხარვეზები მის ხელთ არსებულ მონაცემებში, უზრუნველყოს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მეთოდების ეფექტურობა და ითანამშრომლოს როგორც ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ასევე ახალ ორგანიზაციებთანაც.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

VI. დანართი 1-ლი

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველო

ქვეყნის თვითუზრუნველყოფის 2020
ფისკალური წლის გზამკვლევი



ვალდებულებები



საგარეო ვალთან დაკავშირებული სტრესის რისკი

საქართველო არ შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებისთვისაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნის საგარეო ვალთან დაკავშირებული სტრესის რისკს განსაზღვრავს. მეტი ინფორმაციისთვის გაეცანით USAID-ის თვითუზრუნველყოფის ინდიკატორების გამოთვლის მეთოდოლოგიას.

შესაძლებლობები



APPROVED FOR PUBLIC RELEASE

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

თვითუზრუნველყოფის გზამკვლევი

ინდიკატორთა დეფინიციები და წყაროები

გზამკვლევში გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 2017-2018 წლებში გამოქვეყნებული მონაცემები. ვალდებულებებისა და შესაძლებლობების რეიტინგების გამოთვლისას ყველა ინდიკატორს თანაბარი წონა მიენიჭა. სახელწოდებები და რუკაზე დატანილი საზღვრები ზედმიწევნით ზუსტი შესაძლოა არ იყოს.

დეფინიციებსა და მონაცემთა წყაროებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ საიტს: selfreliance.usaid.gov.

ვალდებულებები

ღია და ანგარიშვალდებული მმართველობა

ლიბერალური დემოკრატია: ინდიკატორი აფასებს გამოხატვის თავისუფლებას, გაერთიანების თავისუფლებას, საარჩევნო უფლებებს, არჩევნებს, კანონის უზენაესობას, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე დაწესებულ შეზღუდვებს. წყარო: დემოკრატიის წარმასხოლანი (V-Dem).

ღია მთავრობა: ინდიკატორი აფასებს მთავრობის საქმიანობას იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფს მოქალაქეთა ინფორმაციაზე წვდომას, მათ მიერ მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობის მექანიზმების დაწესებას და მოსახლეობის საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში ჩართულობას. დამატებით ფასდება შემდეგი ფაქტორები: გამოქვეყნებული კანონები და მთავრობის მონაცემთა ბაზა, ინფორმაციის მიღების უფლება, მოქალაქეთა ჩართულობა და საჩივრის განხილვის მექანიზმები. წყარო: მსოფლიო სამართლიანობის პროექტი, კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი.

ინკლუზიური განვითარება

სოციალური უგუფების თანასწორობა: ინდიკატორი აფასებს პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, რეგიონული და სხვა ნიშნით განსაზღვრული სოციალური უგუფების სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის კუთხით. წყარო: დემოკრატიის წარმასხოლანი (V-Dem), სოციალური უგუფების თანასწორობა სამოქალაქო თავისუფლებებთან მიმართებაში.

გენდერული უთანასწორობა ეკონომიკაში: ინდექსი 5 კომპონენტს მოიცავს: (1) მსგავსი საქმიანობით დაკავებულ ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურების დონეთა შედარება, (2) ქალთა და მამაკაცთა შემოსავლების თანაფარდობა, (3) ქალთა და მამაკაცთა სამუშაო ბალის თანაფარდობა, (4) საკანონმდებლო, მაღალი რანგის სახელისუფლებო და მმართველი თანამდებობაზე მომუშავე ქალთა და მამაკაცთა რიცხვების თანაფარდობა, (5) კვალიფიციური და ტექნიკური სპეციალობით მომუშავე ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა. წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური გენდერული სხვაობის ანგარიში, ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების ქვე-ინდექსი.

ეკონომიკური პოლიტიკა

ბიზნესს გარემო: ინდიკატორი აფასებს ქვეყანაში არსებულ გარემოს სამეწარმეო საქმიანობისთვის შემდეგი ფაქტორების საფუძველზე: ბიზნესის ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ რესურსებზე (მაგ. ინტერნეტი, ტრანსპორტი და კრედიტები), ბიზნესის მოქნილობა (ბიზნესის დაწყებასთან, პერსონალის დაქირავებასა და დათხოვნასთან დაკავშირებული ხარჯები), ნათელი და სამართლიანი რეგულაციები (მაგ. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში), მერიტოკრატიის და შესაძლებლობების აღქმა. წყარო: ლეგატუმის ინსტიტუტი, კეთილდღეობის ინდექსი.

ვაჭრობის თავისუფლება: ინდიკატორი აფასებს ქვეყნის მზაობას საერთაშორისო ვაჭრობისთვის არსებული ტარიფების საშუალო დონისა და არასატარიფო სავაჭრო მარიერების მიხედვით. წყარო: Heritage Foundation, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი.

ბიზმრავალფეროვნება და საარსებო გარემოს დაცვა: ინდიკატორი აფასებს საწაპირო და საზღვაო დაცული ტერიტორიების მდგომარეობას, ხმელეთის ბიომის დაცულობას (ამ კომპონენტს წონა მიენიჭა როგორც ქვეყანაში არსებული, ასევე გლობალური სიმწირის დონის მიხედვით), დაცული ტერიტორიების წარმომადგენლობითობას და დაცულ ტერიტორიებზე გადაშენების პირას მყოფი სახეობებისთვის საარსებო გარემოს უზრუნველყოფას. წყარო: იეილისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებთან არსებული, დედამიწის მეცნიერებათა შემსწავლელი საერთაშორისო ქსელის ცენტრი (CIESIN).

საგარეო ვალთან დაკავშირებული სტრესის რისკი

ინდიკატორი აფასებს საჯარო სექტორის ვალთან დაკავშირებული ეკონომიკური სტრესის რისკს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: "დაბალი რისკი", "საშუალო რისკი", "მაღალი რისკი" და "ვალით გამოწვეული სტრესი". ეს რეიტინგები ეფუძნება ქვეყნის მიერ ვალის აღების მექანიზმებსა და საბაზრო სტრუქტურებს, ფისკალური და მაკროეკონომიკური განვითარების ვერსხვექტივებს და ვალის მართვის ინსტიტუციურ შესაძლებლობს. რეიტინგები ხელს უწყობს დაბალშემოსავლიან ქვეყნებს სესხის აღებისას სწორი გადაწყვეტილება მიიღონ, რათა არ მოხდეს ჭარბი სახელმწიფო ვალის დაგროვება. ხელმისაწვდომია იმ 54 დაბალშემოსავლიანი ქვეყნის რეიტინგი, რომლებისთვისაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ადგენს რისკის დონეს ზემოაღნიშნული კატეგორიების მიხედვით. ეს მაჩვენებლები არ წარმოადგენენ ვალდებულებებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებული რეიტინგების გამოთვლის მეთოდის შემადგენელ კომპონენტებს. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვალის მდგრადობის ანალიზი დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის.

შესაძლებლობები

მთავრობის შესაძლებლობები

მთავრობის ეფექტურობა: ინდიკატორი აფასებს საჯარო სერვისების ხარისხს, საჯარო სამსახურის საქმიანობის ხარისხსა და მის დამოუკიდებლობას პოლიტიკური ზეწოლისგან, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმულირებისა და განხორციელების ხარისხს და მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სანდოობას. წყარო: მსოფლიო ბანკი, მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები.

საგადასახადო სისტემის ეფექტურობა: ინდიკატორი აფასებს ქვეყანაში გადასახადების შეგროვების ფაქტობრივ და შესაძლო დონეთა თანაფარდობას არსებული მაკროეკონომიკური, დემოგრაფიული და ინსტიტუციური პოტენციალის გათვალისწინებით. წყარო: USAID, გადასახადების შეგროვების მონაცემთა ბაზა, საგადასახადო ინდიკატორი.

დაცულობა და უსაფრთხოება: ინდიკატორი ეყრდნობა უსაფრთხოების ობიექტურ განზომილებათა და პირადი დაცულობის სუბიექტურ განზომილებათა შეჯერებულ შეფასებას, ისევე როგორც პირადი თავისუფლებისა და სოციალური შემწყნარებლობის დონეს. წყარო: ლეგატუმის ინსტიტუტი, კეთილდღეობის ინდექსი.

სამოქალაქო საზ-ის შესაძლებლობები

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ეფექტურობა: ინდიკატორი აფასებს იმ აქტივობებსა და მექანიზმებს, რომელთა გამოყენებითაც მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ მედიას შეუძლიათ მთავრობის ანგარიშვალდებულების მოთხოვნა. აღნიშნულ მექანიზმებში აგრეთვე მოიზარება სოციალური უგუფების მობილიზაცია და ჟურნალისტური გამბედობა. წყარო: დემოკრატიის წარმასხოლანი (V-Dem), ანგარიშვალდებულების დიაგნოსტიკური ინდექსი.

მოქალაქეთა შესაძლებლობები

სიღარიბის დონე (დღეში $5): ინდიკატორი აფასებს მოსახლეობის იმ პროცენტულ წაწილს, რომლის დღიური შემოსავალი დღეში 5 დოლარს არ აღემატება (მსყიდველობითი უნარის კარიტეტის მიხედვით). წყარო: მსოფლიო ბანკი, PovCalNet.

განათლების ხარისხი: ინდიკატორი აფასებს როგორც განათლების ხარისხს (მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საერთაშორისო ტესტების ჰარმონიზებული შედეგების მიხედვით), ასევე სკოლაში მიღებული განათლების ხანგრძლივობას (სსკის მიხედვით სკოლაში დასწრების მაჩვენებლების გამოყენებით), რათა განისაზღვროს განათლების სისტემათა ფუნქციონირების ფარდობითი დონე მსოფლიო მასშტაბით. წყარო: მსოფლიო ბანკი, ადამიანური კაპიტალის ინდექსი, სწავლება-სკოლაში დასწრების შესწორებული ხანგრძლივობის ინდიკატორი.

ბავშვთა ჯანდაცვა: შედგენილი ინდიკატორი, რომელიც აკამებს ბავშვთა სიკვდილიანობასთან და წყალსა და მინიმალურ სანიტარულ პირობებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ მონაცემებს. წყარო: იეილისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებთან არსებული, დედამიწის მეცნიერებათა შემსწავლელი საერთაშორისო ქსელის ცენტრი (CIESIN).

ეკონომიკის შესაძლებლობები

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით): ინდიკატორი აფასებს იმ რესურსებს, რომლებზეც ხელი მიუწვდებათ შინამეურნეობებს, კომპანიებს და მთავრობას ქვეყნის განვითარების დასაფინანსებლად (ქვეყნის მშპ გაყოფილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე). წყარო: მსოფლიო ბანკი, მსოფლიო განვითარების ინდიკატორები.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება: ინდექსი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: (1) მობილური ტელეფონის მომხმარებელთა რიცხვი, (2) მობილური ინტერნეტ-მომსახურების მომხმარებელთა რიცხვი, (3) ფიქსირებული ინტერნეტ-მომსახურების მომხმარებელთა რიცხვი, (4) ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტ-ქსელის მომხმარებელთა რიცხვი და (5) ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი. წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

ექსპორტის კომპლექსურობა: ინდიკატორი აფასებს ქვეყანის საექსპორტო საქონელის მრავალფეროვნებასა და გავრცელების არეალს, ისევე როგორც იმ მირითად მაზრებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ეკონომიკის კომპლექსურობისა და მედეგობის დონის განსაზღვრა. წყარო: ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო განვითარების ცენტრი, ეკონომიკური კომპლექსურობის ინდექსი.

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

VI. დანართი მე-2: გამოყენებული ტერმინოლოგია

ანგარიშვალდებულება	Accountability
ანგარიშვალდებული მმართველობა	Accountable/Responsive Governance
არაფორმალური მმართველობა	Informal governance
ბუნებრივი რესურსები	Natural resources
ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	Sustainably-managed natural resources
განახლებადი ენერგია	Renewable energy
გამოწვევა	Challenge
გამჭირვალობა	Transparency
გენდერული თანასწორობა	Gender equality
დეზინფორმაცია	Disinformation
დეცენტრალიზაცია	Dicentralization
ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია	Euro-Atlantic integration
ეკონომიკის დივერსიფიკაცია	Economic diversification
ელექტრონული მმართველობა	E-governance
ენერგორესურსები	Energy resources
ენერგოუსაფრთხოება	Energy security
ერთობლივი დიზაინი	Co-design/Co-create
ვალდებულება	Commitment
ზედამხედველობა	Oversight
თანადაფინანსება	Co-financing
თვითუზრუნველყოფა	Self-reliance
თვისებრივი	Qualitative
კანონის უზენაესობა	Rule of law
კიბერსაფრთხე	Cyber threat
კიბერუსაფრთხოება	Cyber security
კიბერშეტევა	Cyber attack
კლიმატის ცვლილებები	Climate impacts

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

მავნე ზეგავლენა	Malign influence
მართლმსაჯულების სისტემა	Justice system
მაღალანაზღაურებადი და მაღალხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობები	High-value employment opportunity
მაღალი ღირებულებისა და მაღალშემოსავლიანი ბაზარი	High-value market
მდგრადობა	Sustainability
მედეგობა	Resilience
მმართველობა	Governance
მონიტორინგი	Monitoring
მრავალფეროვნება	Diversity
ნულოვანი ნაშთის პოლიტიკა	Zero-sum politics
პარტნიორული ურთიერთობის ფორმირების სამ საფეხურიანი სისტემა	Three-tier approach
პოლიტიკური ნება	Political will
რაოდენობრივი	Quantitative
,,რბილი“ ძალა	Soft power
რეგიონი, სადაც უმცირესობა მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს	Minority-majority region
რეგრესი	Backsliding
საარსებო გარემო	Habitat
საარსებო სოფლის მეურნეობა	Subsistence agriculture
საარჩევნო რეფორმა	Electoral reform
სამოქალაქო განათლება	Civic education
სამოქალაქო/მოქალაქეთა ჩართულობა	Civic/citizen participation
სასამართლო რეფორმა	Judicial reform
სახელმწიფო სერვისები	Public Services
საჯარო მმართველობა	Public administration
სოციალური მეწარმეობა	Social entrepreneurship
ტერიტორიული მთლიანობა	Territorial integrity

APPROVED FOR PUBLIC RELEASE

უმცირესობა	Minority
შერიგება	Reconciliation
შესაძლებლობები	Capacity
შეფასება	Evaluation
ხელმისაწვდომობა	Accessibility

APPROVED FOR PUBLIC RELEASE